წლიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები [illegible] რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოსი 10—53, მთ. კანტორის—8—81.

ხუთშაბათი, 23 თებერვალი 1933 წ. № 45 (3601)

პროლეტარული დიქტატურის ძლევამოსილი არმია

ოქტომბრის რევოლუციის დიადი მონაპოვარნი, საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა ხანგრძლივ და სასტიკ სამოქალაქო ომში დაიცვეს შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლუციისაგან. განადგურდა ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიის, მემამულეების, თეთრი გენერლების და უცხოეთის ინტერვენტების ცდები — სისხლში ჩაეხშოთ პირველი პროლეტარული ქვეყანა.

სამოქალაქო ომის მრავალრიცხოვან ფრონტებზე: აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით საბჭოთა კავშირის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თუმცა სუსტად შეიარაღებულებმა, ნახევრად მშიერებმა სძლიეს საუკეთესოდ შეიარაღებული, კარგად ჩაცმული და გამოკვებილი, უდიდეს სამხედრო სპეციალისტების ხელმძღვანელობით დარაზმული კონტრ-რევოლუციის ჯარები — იუდენიჩი და კოლჩაკი, დენიკინი და ვრანგელი, პოლონეთის, იაპონიის, ინგლისის, ამერიკის და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნების დაქირავებული არმიები.

ამ უდიდეს გამარჯვებას საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მიაღწიეს იმიტომ, რომ ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღიდანვე პროლეტარულმა დიქტატურამ თავისი ბელადების — **ლენინისა და სტალინის** მეთაურობით განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბჭოების დამცველ შეიარაღებულ ძალის შექმნას.

1918 წლის 23 თებერვალს, ამ 15 წლის წინად, ამხ. **ლენინის** ხელმოწერით გამოქვეყნდა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი — **დეკრეტი წითელი არმიის შექმნის შესახებ.** სულ მცირე დროის განმავლობაში, კომუნისტური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული უნარის მეოხებით, მშრომელთა მასების ყველაზე მოწინავე და შეგნებულ ელემენტების აქტიური მხარის დაჭერით შეიქნა რამდენიმე მილიონიანი არმია, რომელიც რკინისებური რიგებით წინააღუდგა კონტრ-რევოლუციის გაერთიანებულ ძალებს.

წითელი არმიის გამარჯვებაში თავის მტრებზე, განსაკუთრებული როლი ითამაშა ამხ. **ლენინის** ყოველდღიურმა, სისტემატიურმა გენიალურმა ხელმძღვანელობამ წითელ ჯარზე, დიდი როლი ითამაშა ამხ. სტალინმა, რომელსაც პარტია სამოქალაქო ომის პერიოდის განმავლობაში აგზავნიდა ყველაზე საპასუხისმგებლო ფრონტებზე, რომ უმნიშვნელოვანეს ფრონტების საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელობას უწევდა ლენინის საუკეთესო თანამებრძოლი, წითელი არმიის შეუდარებელი ორგანიზატორი ამხ. სტალინი.

სამხედრო ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ წითელი არმია აქტიურად ჩაება ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნაში, პირველი ხუთწლედის ძლევამოსილად შესრულებაში.

წითელი არმია საიმედო დასაყრდენი იყო და არის პარტიის გენერალური ხაზის სისწორით გატარებაში, მასების ინტერნაციონალურ აღზრდაში, მემარჯვენე გადახრის, „მემარცხენე" გამრუდებების და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის და ყოველი სახის მავნებლობის გაცამტვერებაში.

პარტიამ ლენინური გენერალური ხაზის ურყევი გატარების მეოხებით წარმატებით შეასრულა პირველი ხუთწლიანი გეგმა. ამით საბჭოთა კავშირი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნად, გაფართოვდა მეურნეობის სოციალისტური ფორმების ფრონტი. შეიქმნა ეკონომიური ბაზა კლასების მოსპობისა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში ძლიერი ინდუსტრია, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ სახალხო მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება და გადაკეთება, წვრილი დაქუცმაცებული სასოფლო მეურნეობა გადაყვანილ იქნა მსხვილი კოლექტიური მეურნეობის რელსებზე, უზრუნველყოფილია საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ეკონომიური ბაზა და მოისპო კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 5-წლიანი გეგმის მიღწევები. ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების დარგში.

პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგათ პარტიამ მიაღწია იმას, რომ „სუსტი და თავდაცვისათვის მოუმზადებელი ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ ქვეყნად, რომელიც მზად არის ყოველ შემთხვევისათვის და რომელსაც შეუძლიან დაამზადოს მასიური მაშტაბით თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღები და მოამარაგოს ამ იარაღებით თავისი არმია გარედან თავდასხმის დროს" (სტალინი).

ქვეყნის თავდაცვის უნარის გადაჭრით გაძლიერება და წითელი არმიის შეიარაღება სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ პარტია თანმიმდევრად და მტკიცედ ატარებდა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, ანვითარებდა პირველ რიგში მსხვილ სოციალისტურ ინდუსტრიას და რაც მთავარია ანვითარებდა სწრაფი, ბოლშევიკური ტემპებით.

პარტიას განსაკუთრებული ყურადღება რომ არ მიექცია მსხვილ ინდუსტრიის განვითარებისათვის, [illegible] ულმობლად რომ არ უკუეგდო ყველა და ყოველგვარი თეორიები [illegible] ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური კურსის წინააღმდეგ, ჩვენ მაშინ „არ გვექნებოდა თავდაცვის ყველა თანამედროვე საშუალებანი, ურომლისოდაც შეუძლებელია ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ურომლისოდაც ქვეყანა ხდება გარეშე მტრების სამხედრო ოპერაციების ობიექტად. მაშინ ჩვენი მდგომარეობა ცოტათ თუ ბევრად ისეთი იქნებოდა, როგორიც ახლანდელი ჩინეთის მდგომარეობაა, რომელსაც არა აქვს საკუთარი მძიმე მრეწველობა, არა აქვს თავისი სამხედრო მრეწველობა, და რომელსაც კორტნის ყველა, ვისაც კი არ ეზარება" (სტალინი).

ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გიგანტური ზრდასა და წითელი არმიის ხელახალ ტექნიკური შეიარაღებაში „ხაზგასმით ,უნდა აღინიშნოს ამხ. სტალინის როლი. ამხ. სტალინი, რომელსაც ესმოდა მტკიცე შეიარაღებული თავდაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობისათვის, სოციალიზმის მშენებლობის წარმატებისათვის, რომელსაც ჰქონდა სამხედრო საქმის ფართო ცოდნა და სამოქალაქო ომის უმდიდრესი გამოცდილება, — ყოველთვის ღებულობდა პირად და უშუალო მონაწილეობას ყველა საკითხებში, რაც დაკავშირებული იყო არმიის ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან, ამ ტექნიკურ ბაზაზე მისი ხელახალი შეიარაღებისათვის". (ვოროშილოვი).

წითელი არმია გაიზარდა ტექნიკურად შეიარაღების მხრივ, ის გაძლიერდა თავისი „პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობით, თავისი სულიერი განწყობილებით, თავისი მაღალი რევოლუციონური შეგნებით". წითელი არმია გაიზარდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მეთაურთა კადრებით, გაიზარდა პარტიულ-კომკავშირულ ბირთვით, გაიზარდა თავისი ტექნიკოსებით, ინჟინრებით, გამოცდილი მეთაურებით.

წითელი არმიის ძლიერება შიშს გვრის მსოფლიოს მტაცებლურ ბურჟუაზიას. წითელი არმიის გაზრდილი სამხედრო ძლიერება ამავე დროს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გარანტიას, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის საფუძველს.

წითელი არმიის წინაშე სდგას გადაუდებელი ამოცანა: დაეუფლოს სამხედრო ტექნიკას, მეტი ყურადღება მიაქციოს თავისი კადრების ხარისხის გაუმჯობესებას, თავისი საბრძოლო უნარიანობის შემდგომ ზრდას.

სოფლად ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები მოითხოვს წითელი არმიისაგან მზრუნველობის გაძლიერებას სოფლისადმი. წითელი არმიის კონკრეტულ დახმარებას საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებისადმი. წითელმა არმიამ ხელი უნდა შეუწყოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან კლასობრივ მტრების განდევნას, ბოლშევიკურ კოლმეურნეობების შექმნას მეორე ხუთწლედის პირველი წლის ბოლშევიკური გაზაფხულის წარმატებით ჩატარებას.

სამხედრო ტექნიკის სწრაფი ზრდა, საზღვრის მოშლა მომავალ ომში ზურგსა და ფრონტს შორის მოითხოვს, რათა მეტი ყურადღება მიექცეს მშრომელთ მოსახლეობის გასამხედროებას, სამხედრო ტექნიკის დაუფლებას მშრომელთა ფართო მასების მხრივ, რისთვისაც საჭიროა თავდაცვა ავიაქიმის მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერება.

ჩვენი პოლიტიკა თანმიმდევრობითი მშვიდობიანობის პოლიტიკაა. ამას ცხადჰყოფს მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა, ამას ცხადჰყოფს განიარაღების კონფერენციის გენერალური კომისიის სხდომაზე ამ რამოდენიმე დღის წინადაც ჩვენი დელეგაციის ისტორიული დეკლარაცია, სრული, ყოველმხრივი განიარაღების ან „თუნდაც შეიარაღების მაქსიმალური შემცირებისა მოკლე ხნის განმავლობაში", რაც უარყოფილი იქნა იმპერიალისტურ ქვეყნების მიერ.

საბჭოთა კავშირის ბრძოლა მშვიდობიანობისათვის შეუძლებელია თავდაცვის ყოველმხრივი გაძლიერების გარეშე. კაპიტალისტური ქვეყნები განიარაღების კომედიებს მართავენ და სრულიადაც არ ფიქრობენ არც განიარაღებასა და არც შეიარაღების რაიმე მხრივ შემცირებაზე. ბოლო მოეღო კაპიტალიზმის სტაბილიზაციას, წარმოუდგენლად გამწვავდა ყველა კაპიტალისტური წინააღმდეგობანი, მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მძიმე მარწუხებში მომწყვდეული კაპიტალისტური ქვეყნები გამოსავალს ეძებენ ახალ იმპერიალისტურ ომებში და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციაში.

პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ ბურჟუაზიის სიძულვილის ზრდის და იმპერიალისტური ქვეყნების გაშალებული შეიარაღების პირობებში, საბჭოთა კავშირი, რომელიც მტკიცედ ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, კიდევ უფრო გააძლიერებს ქვეყნის თავდაცვის უნარს, კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს წითელი არმიის, პირველი პროლეტარული ქვეყნის ამ ერთგული გუშაგის სამხედრო ძლიერების ზრდას.

გაუმარჯოს საბჭოთა საზღვრების უძლეველ დარაჯს — ჩვენს მუშურ გლეხურ წითელ არმიას.

ამხ. სტალინის სიტყვა

დამკვრელ კოლმეურნეთა I საკავშირო ყრილობაზე

19 თებერვალს



ამხანაგო კოლმეურნეებო და კოლმეურნე-ქალებო! მე არ ვაპირებდი ამ ყრილობაზე გამოსვლას. არ ვაპირებდი, რადგან ჩემამდე გამოსული ორატორების სიტყვებში უკვე ნათქვამია ყველაფერი, რისი თქმაც საჭირო იყო, ნათქვამია კარგად და მოსწრებულად. საჭირო იყო კიდევ ამის შემდეგ გამოსვლა? მაგრამ რადგან თქვენ მოითხოვთ, ხოლო ძალა თქვენს ხელშია (**ხანგრძლივი ტაში**), მე ვალდებული ვარ დაგემორჩილოთ.

ვიტყვი რამდენიმე სიტყვას ცალკე საკითხებზე.

I კოლმეურნეობათა გზა ერთად ერთი სწორი გზაა

პირველი საკითხი: სწორია, თუ არა ის გზა, რომელსაც დაადგა კოლმეურნე გლეხობა, სწორია, თუ არა საკოლმეურნეო გზა? ეს კითხვა ფუჭი როდია. თქვენ, კოლმეურნეობათა დამკვრელებს, ალბად, ეჭვი არ შეგაქვთ იმაში, რომ კოლმეურნეობანი სწორ გზაზე დგანან. ამიტომ შესაძლებელია, რომ ეს კითხვა თქვენ ზედმეტად მოგეჩვენოსთ, მაგრამ ყველა გლეხები როდი ფიქრობენ ისე, როგორც თქვენ. გლეხთა შორის ჯერ კიდევ ცოტანი არ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, მათ რიცხვში კოლმეურნეთა შორისაც, რომელნიც დაეჭვებული არიან საკოლმეურნეო გზის სისწორეში და ამაში არაფერია გასაკვირალი. მართლაც, ადამიანები ასეული წლობით ცხოვრობდენ ძველებურად, მიდიოდენ ძველი გზით, წელს ღუნავდენ კულაკის და მემამულის წინაში, ჩარჩის და სპეკულიანტის წინაშე. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ძველი, კაპიტალისტური გზა მოსწონდათ გლეხებს. მაგრამ იგი, ეს ძველი გზა, იყო გაკვალული, ნაჩვევი და ჯერ კიდევ არავის დაუმტკიცებია საქმით, რომ შეიძლება როგორმე სხვანაირად, უკეთესად ცხოვრება. მით უფრო, რომ ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ადამიანები ჯერ კიდევ ძველებურად ცხოვრობენ... და აი, ამ ძველ ჭაობიან ცხოვრებაში უცბად შეიჭრებიან ბოლშევიკები, იჭრებიან როგორც ქარიშხალი და ამბობენ— დროა უკუაგდოთ ძველი გზა, დროა დავიწყოთ ცხოვრება ახალ საფუძველზე, საკოლმეურნეო საფუძველზე, დროა დავიწყოთ ცხოვრება არა ისე, როგორც ცხოვრობს ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, არამედ ახალი წესით, საარტელო წესით. ხოლო რა არის ეს ახალი ცხოვრება, ვინ იცის — იქნებ იგი ძველ ცხოვრებაზე უარესი გამოდგეს. ყოველ შემთხვევაში, ახალი გზა უჩვეულო გაუკაფავი და ჯერ არც ისე გასინჯული გზაა. ხომ არ არის უკეთესი ძველ გზას შევრჩეთ? ხომ არ არის უკეთესი დავიცადოთ ახალ, საკოლმეურნეო გზაზე გადასვლა? განა ღირს რისკის გაწევა? აი რა ეჭვები იპყრობს ახლა მშრომელი გლეხობის ერთ ნაწილს.

უნდა გავფანტოთ თუ არა ჩვენ ეს ეჭვები?

უნდა გამოვიტანოთ თუ არა ჩვენ ისინი, სწორედ ეს ეჭვები, მზის სინათლეზე და ცხადვყოთ თუ რა ფასი აქვთ მათ?

ცხადია, რომ ეს უნდა მოვიმოქმედოთ.

მაშასადამე, ზემოდ დასახული კითხვა ფუჭ კითხვად ვერ ჩაითვლება.

მაშ, სწორია თუ არა ის გზა, რომელზედაც დადგა კოლმეურნე გლეხობა?

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ახალ გზაზე, კოლმეურნეობათა გზაზე გადასვლა ჩვენში დაიწყო სამი წლის წინად. ეს მართალია მხოლოდ ნაწილობრივ. რა თქმა უნდა, კოლმეურნეობათა მასიური მშენებლობა ჩვენში დაიწყო სამი წლის წინად. ეს გადასვლა, როგორც ცნობილია, აღინიშნა კულაკობის განადგურებით და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მოძრაობით კოლმეურნეობებისაკენ. ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ იმისათვის, რომ დაგვეწყო ეს მასიური გადასვლა კოლმეურნეობებისაკენ. ხელთ უნდა გვქონოდა ზოგიერთი წინასწარი პირობა, ურომლისოდ, საერთოდ რო ითქვას, წარმოუდგენელია მასიური საკოლმეურნეო მოძრაობა. პირველ ყოვლისა, უნდა გვქონოდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ეხმარებოდა და კვლავ ეხმარება გლეხებს, დაადგენ კოლმეურნეობათა გზას. მეორე, საჭირო იყო გაგვეძევებია მემამულეები და კაპიტალისტები, ჩამოგვერთმია მათთვის ქარხნები და მიწები და გამოგვეცხადებია ისინი ხალხის საკუთრებად. მესამე, საჭირო იყო აგველაგმა კულაკობა და ჩამოგვერთმია მისთვის მანქანები და ტრაქტორები. მეოთხე, საჭირო იყო გამოგვეცხადებია, რომ მანქანებით და ტრაქტორებით შეუძლიათ სარგებლობა მხოლოდ კოლმეურნეობებში გაერთიანებულ ღარიბ და საშუალო გლეხებს. ბოლოს, საჭირო იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ახალი სატრაქტორო მრეწველობის შექმნა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ახალი ქარხნების აშენება იმისათვის, რომ უხვად მოგვემარაგებია კოლმეურნე გლეხობა ტრაქტორებით და მანქანებით. ამ წინასწარი პირობების გარეშე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა კოლმეურნეობათა გზაზე მასიური გადასვლის შესახებ, რაც სამი წლის წინად დაიწყო.

მაშასადამე, კოლმეურნეობათა გზაზე გადასასვლელად, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ოქტომბრის რევოლუციის მოხდენა, კაპიტალისტების და მემამულეების დამხობა, მათთვის მიწის და ქარხნების ჩამორთმევა და ახალი მრეწველობის შექმნა.

სწორედ ოქტომბრის რევოლუციიდან დაიწყო ახალ გზაზე, კოლმეურნეობათა გზაზე გადასვლა. იგი ახალი სიძლიერით გაიშალა მხოლოდ სამი წლის წინად, რადგან ამ დროისათვის მთელი სიგრძე-სიგანით იჩინეს თავი ოქტომბრის რევოლუციის შედეგებმა, მხოლოდ ამ დროისათვის გახდა შესაძლებელი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წინ წაწევა. ხალხთა ისტორია ბევრ რევოლუციას იცნობს. ისინი ოქტომბრის რევოლუციისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ყველა ისინი ცალმხრივი რევოლუციები იყვნენ. მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ ფორმას სცვლიდა ექსპლოატაციის სხვა ფორმა, მაგრამ თვით ექსპლოატაცია რჩებოდა. ერთი ჯურის ექსპლოატატორებს და მჩაგვრელებს სცვლიდენ სხვა ჯურის ექსპლოატატორები და მჩაგვრელები, მაგრამ თვით ექსპლოატატორები და მჩაგვრელები რჩებოდენ.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ, დაისახა ამოცანათ მოსპოს ყოველგვარი ექსპლოატაცია, მოსპოს ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორები და მჩაგვრელები.

მონების რევოლუციამ მოსპო მონათმფლობელები და გააუქმა მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა, მაგრამ მათ ნაცვლად მან დააყენა ბატონები და წარმოშვა მშრომელთა ექსპლოატაციის ბატონყმური ფორმა. ერთი სახის ექსპლოატატორები შესცვალეს მეორე სახის ექსპლოატატორებმა; მონობის დროს „კანონი" ნებას აძლევდა მონათმფლობელებს მოეკლათ მონები. ბატონყმური წესწყობილების დროს „კანონი" ნებას აძლევდა ბატონებს მხოლოდ გაეყიდათ „ყმები".

ყმა გლეხთა რევოლუციამ მოსპო ბატონები და გააუქმა ექსპლოატაციის ბატონყმური ფორმა, მაგრამ მან მათ ნაცვლად დააყენა კაპიტალისტები და მემამულეები, წარმოშვა მშრომელთა ექსპლოატაციის კაპიტალისტური და მემამულური ფორმა. ერთი სახის ექსპლოატატორები შესცვალეს მეორე სახის ექსპლოატატორებმა. ბატონყმური წესწყობილების დროს „კანონი" იძლეოდა ყმების გაყიდვის უფლებას. კაპიტალისტურ წესწყობილების დროს „კანონი" ნებას რთავს მშრომელები გახდენ „მხოლოდ" უმუშევრობის და გაღატაკების გაჩანაგების და სიმშილით სიკვდილის მსხვერპლნი.

მხოლოდ ჩვენმა საბჭოთა რევოლუციამ, მხოლოდ ჩვენმა ოქტომბრის რევოლუციამ დასვა საკითხი ისე, რომ ერთი სახის ექსპლოატატორები კი არ შესცვალონ მეორე ექსპლოატატორებმა, ექსპლოატაციის ერთი ფორმა კი არ შეიცვალოს მეორეთი — არამედ აღმოიფხვრას ყოველგვარი ექსპლოატაცია, მოისპოს ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორები, ყველა და ყოველგვარი მდიდრები და მჩაგვრელები, ახლებიც და ძველებიც. (**ხანგრძლივი ტაში**).

აი რატომ არის ოქტომბრის რევოლუცია წინასწარი პირობა და აუცილებელი წინამძღვარი გლეხობის ახალ საკოლმეურნეო გზაზე გადასვლისათვის.

სწორად მოიქცენ თუ არა გლეხები, როდესაც დაუჭირეს მხარი ოქტომბრის რევოლუციას? დიახ, ისინი სწორად მოიქცნენ. ისინი სწორად მოიქცნენ, ვინაიდან ოქტომბრის რევოლუცია დაეხმარა მათ გადმოეგდოთ მხრებიდან მემამულეები და კაპიტალისტები, ვახშეები და კულაკები, ვაჭრები და სპეკულიანტები., მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. მჩაგვრელების განდევნა, მემამულეების და კაპიტალისტების განდევნა, კულაკების და სპეკულიანტების ალაგმვა — ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს ცოტაა. იმისათვის, რომ საბოლოოდ განვთავისუფლდეთ ძველი ხუნდებისაგან, საკმარისი არ არის ექსპლოატატორების მარტო განადგურება. ამისათვის საჭიროა კიდევ ახალი ცხოვრების აგება, ისეთი ცხოვრების აგება, რომელიც საშუალებას მისცემს მშრომელ გლეხობას გააუმჯობესოს თავისი მატერიალური და კულტურული მდგომარეობა, და ამაღლდეს დღითი-დღე, წლიდან-წლამდე.

ამისათვის საჭიროა სოფელში დავამყაროთ ახალი წესწყობილება, საკოლმეურნეო წესწყობილება. ამაშია საკითხის მეორე მხარე.

რითი განსხვავდება ძველი წყობილება ახალ საკოლმეურნეო წყობილებისაგან? ძველი წყობილების დროს გლეხები მუშაობდნენ ცალცალკე, მუშაობდნენ ძველი მამაპაპური წესებით, შრომის ძველი იარაღებით, მუშაობდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, კულაკებისა და სპეკულიანტებისათვის, მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ ნახევრად მშიერი, ამდიდრებდენ სხვებს. ახალ საკოლმეურნეო წყობილების დროს გლეხები მუშაობენ ერთად, არტელურად, მუშაობენ ახალი იარაღების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების საშუალებით. მუშაობენ თავის თავისთვის და თავიანთი კოლმეურნეობებისათვის, ცხოვრობენ უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ; უკულაკებოდ და უსპეკულიანტებოდ. მუშაობენ იმისათვის, რათა დღითი-დღე გააუმჯობესონ თავიანთი მატერიალური და კულტურული მდგომარეობა.

იქ, ძველი წესწყობილების დროს, მთავრობა ბურჟუაზიულია, და ის მხარს უჭერს მდიდრებს მშრომელი გლეხების წინააღმდეგ. აქ, ახალ საკოლმეურნეო წყობილების დროს მთავრობა მუშურ-გლეხურია და ის მხარს უჭერს მუშებს და გლეხებს ყველა და ყოველგვარ მდიდრების წინააღმდეგ. ძველ წყობილებას მივყავართ კაპიტალიზმისაკენ, ახალ წყობილებას — სოციალიზმისაკენ. აი თქვენ ორი გზა: კაპიტალისტური გზა და სოციალისტური გზა. გზა წინ—სოციალიზმისაკენ და გზა უკან—კაპიტალიზმისაკენ. არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შესაძლებელია დავადგეთ, რომელიღაც მესამე გზას. განსაკუთრებით ხალისით ეკიდებიან ამ გზას, ყველასათვის უცნობ მესამე გზას, ზოგიერთი მერყევი ამხანაგები, რომლებიც ჯერ სავსებით არ არიან დარწმუნებულნი საკოლმეურნეო გზის სისწორეში, მათ უნდათ, რომ ჩვენ დავუბრუნდეთ ძველ წყობილებას, დაუბრუნდეთ ერთპიროვნულ მეურნეობას, მაგრამ კაპიტალისტებისა და მემამულეების გარეშე. მათ უნდათ ამავე დროს, რომ ჩვენ დაუშვათ, „მხოლოდ" კულაკები და სხვა წვრილი კაპიტალისტები, როგორც ჩვენი სამეურნეო წყობილების კანონიერი მოვლენა. ნამდვილად კი ეს არის არა მესამე გზა, არამედ მეორე, — გზა კაპიტალიზმისაკენ; ვინაიდან, რას ნიშნავს ერთპიროვნულ მეურნეობისაკენ დაბრუნება და კულაკობის აღდგენა? ეს ნიშნავს კულაკური კაბალის აღდგენას, კულაკობის მიერ გლეხობის ექსპლოატაციის აღდგენას და კულაკისათვის ძალაუფლების მიცემას. მაგრამ შეიძლება თუ არა კულაკობის აღდგენა და ამასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება? არა, არ შეიძლება. კულაკობის აღდგენამ უნდა გამოიწვიოს კულაკური ხელისუფლების შექმნა და საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია. მაშასადამე მას უნდა მოჰყვეს ბურჟუაზიული მთავრობის შექმნა, კაპიტალისტების და მემამულეების აღდგენა, კაპიტალიზმის აღდგენა; ეგრედწოდებული მესამე გზა ნამდვილად არის მეორე გზა, კაპიტალიზმისაკენ დაბრუნების გზა. აბა ჰკითხეთ გლეხებს — უნდათ მათ აღადგინონ კულაკური კაბალა, დაუბრუნდნენ კაპიტალიზმს, მოსპონ საბჭოთა ხელისუფლება და აღადგინონ მემამულეების და კაპიტალისტების ხელისუფლება? აბა ჰკითხეთ მათ და გაიგებთ, — რომელი გზა მიაჩნია მშრომელთა უმრავლესობას ერთად-ერთ სწორ გზად.

მაშასადამე, არის მხოლოდ ორი გზა: ან წინ, ახალ საკოლმეურნეო წესწყობილებისაკენ, ანდა უკან— ძველ, კულაკურ-კაპიტალისტურ წესწყობილებისაკენ. მესამე გზა არ არსებობს.

მშრომელი გლეხობა სწორად მოიქცა, როდესაც უარყო კაპიტალისტური გზა და დაადგა საკოლმეურნეო მშენებლობის გზას.

ამბობენ, კოლმეურნეობების გზა სწორი გზაა, მაგრამ ის ძნელია. ეს მართალია მხოლოდ ნაწილობრივ. რასაკვირველია, სიძნელეები ამ გზაზე არის. კარგი ცხოვრების მოპოვება ადვილი არ არის. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მთავარი სიძნელეები უკვე განვლილია, ის სიძნელეები კი, რომლებიც სდგას ჩვენს წინაშე, არ ღირს იმათ, რომ სერიოზულად ვილაპარაკოთ მათზე. ყოველ შემთხვევაში იმ სიძნელეებთან შედარებით, რომლებიც განიცადეს მუშებმა, 10—15 წლის წინად, ჩვენ ეხლანდელ სიძნელეები, ამხანაგო კოლმეურნეებო, ბავშვის სათამაშოებათ მოსჩანს. თქვენი ორატორები გამოდიოდენ აქ და აქებდენ ლენინგრადის, მოსკოვის, ხარკოვის, დონბასის მუშებს. ისინი ამბობდენ, რომ მათ, მუშებს, აქვთ მიღწევები, თქვენ კი, კოლმეურნეებს, გაცილებით ნაკლები მიღწევები გაქვთ. მე ვფიქრობ, რომ თქვენი ორატორების სიტყვებში იყო ერთგვარი ამხანაგური შური; რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენც, კოლმეურნე გლეხებსაც, გვქონდეს ისეთივე მიღწევები, როგორც თქვენ, ლენინგრადის, მოსკოვის, დონბასის, ხარკოვის მუშებს.

ყველაფერი ეს კარგია. თქვენ იცით, თუ რა დაუჯდათ ლენინგრადის და მოსკოვის მუშებს ეს მიღწევები, როგორი გაჭირვება გადაიტანეს მათ, რომ მიეღწიათ, დაბოლოს, ამ შედეგებისათვის.

მე შემეძლო მეამბნა თქვენთვის ზოგიერთი ფაქტები მუშების ცხოვრებიდან 1918 წელს, როდესაც მთელი კვირაობით არ აძლევდნენ მუშებს პურის ნატეხს; მე უკვე არაფერს ვამბობ ხორცზე და კვების სხვა პროდუქტებზე. მაშინ საუკეთესო დროთ სთვლიდენ იმ დღეებს, როდესაც მოსახერხებელი ხდებოდა ერთი მერვედი გირვანქა შავი პურის მიცემა ლენინგრადის და მოსკოვის მუშებისათვის, ისიც სანახევროდ ქატოსთან ერთად. და ეს გრძელდებოდა არა თვე, არა წლამდე, არამედ მთელ ორი წელიწადი. მაგრამ მუშები ითმენდენ და სულით არ ეცემოდენ, რადგან იცოდნენ, რომ მოვა უკეთესი დრო და ისინი მიაღწევენ გადამწყვეტ წარმატებებს. და მართლაც თქვენ ხედავთ, რომ მუშები არ შემცდარან. შეადარეთ თქვენი სიძნელეები და გაჭირვება იმ სიძნელეებს და გაჭირვებას, რომელიც მუშებმა განიცადეს და თქვენ დაინახავთ, რომ მათზე არც კი ღირს სერიოზულად ლაპარაკი.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ წინ წავსწიოთ საკოლმეურნეო მოძრაობა და ფართოდ გავშალოთ საკოლმეურნეო მშენებლობა?

ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რომ კოლმეურნეობებს ჰქონდეს სავსებით უზრუნველყოფილი და დასამუშავებლად გამოსადეგი მიწა. გაქვთ თუ არა თქვენ ის? დიახ, გაქვთ. ცნობილია, რომ ყველა საუკეთესო მიწები გადაცემულია კოლმეურნეობებზე და მიმაგრებულია მათზე მტკიცედ. მაშასადამე, კოლმეურნეებს შეუძლიათ დაამუშაონ და გააუმჯობესონ ეს მიწა და არ შეეშინდეთ, რომ ის სხვის ხელში გადავა. მეორე—ამისათვის საჭიროა, რომ კოლმეურნეებს შეეძლოთ ტრაქტორების და მანქანების გამოყენება. გაქვთ თუ არა თქვენ ისინი? დიახ, გაქვთ. ყველამ იცის, რომ ჩვენი სატრაქტორო ქარხნები და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნები, უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად, მუშაობენ კოლმეურნეობებისათვის და აწვდიან მათ ყველა თანამედროვე იარაღებს.

დაბოლოს, ამისათვის საჭიროა, რომ მთავრობამ მხარი დაუჭიროს კოლმეურნე გლეხებს ხალხითაც და ფინანსებითაც და საშუალება არ მისცეს მოწინააღმდეგე კლასების ნარჩენებს გახრწნან კოლმეურნეობები.

გაქვთ თუ არა თქვენ ასეთი მთავრობა? დიახ, გაქვთ. ეს არის მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობა. დამისახელეთ თუ ისეთი ქვეყანა, სადაც მთავრობა მხარს უჭერდეს არა კაპიტალისტებს და მემამულეებს, არა კულაკებს და სხვა მდიდრებს, არამედ მშრომელ გლეხებს. დედამიწის ზურგზე არ არის და არ ყოფილა ასეთი ქვეყანა. მხოლოდ ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში არსებობს მთავრობა, რომელიც მხარს უჭერს მუშებს და გლეხებს, კოლმეურნეებს, ქალაქის და სოფლის ყველა მშრომელებს,— ყველა მდიდრებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ. (**ხანგრძლივი ტაში**).

მაშასადამე, თქვენ გაქვთ ყველაფერი იმისათვის, რომ ფართოდ გაშალოთ საკოლმეურნეო მშენებლობა და მიაღწიოთ სრულ განთავისუფლებას ძველი ხავსისაგან.

თქვენის მხრით საჭიროა მხოლოდ ერთი, იშრომოთ პატიოსნად, გაანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი შრომის მიხედვით, გაუფრთხილდეთ საკოლმეურნეო ქონებას, ტრაქტორებს და მანქანებს, კარგად მოუაროთ ცხენს, შეასრულოთ თქვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დავალებები, განამტკიცოთ კოლმეურნეობები და განდევნოთ იქიდან კოლმეურნეობაში შემძვრალი კულაკები და მათი დამქაშები.

თქვენ ალბად დამეთანხმებით, რომ ამ სიძნელეების გადალახვა, ე. ი. პატიოსნად მუშაობა და საკოლმეურნეო დოვლათის გაფრთხილება, არც ისე ძნელი საქმეა. მით უმეტეს, რომ ეხლა თქვენ მუშაობთ არა მდიდრებისა და ექსპლოატატორებისათვის, არამედ თავისთავისთვის, საკუთარი კოლმეურნეობისათვის. თქვენ ხედავთ, რომ საკოლმეურნეო გზა-სოციალიზმის გზა—წარმოადგენს ერთად-ერთ სწორ გზას მშრომელი გლეხობისათვის.

2. ჩვენი უახლოესი ამოცანაა—გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად

მეორე საკითხი, რას მივაღწიეთ ჩვენ ახალ გზაზე, ჩვენს საკოლმეურნეო გზაზე და რის მიღწევას ვფიქრობთ ჩვენ უახლოეს ორი სამი წლის განმავლობაში? სოციალიზმი კარგი საქმეა. ბედნიერი სოციალისტური ცხოვრება—უდაოდ კარგი საქმეა, მაგრამ ყველაფერი ეს მომავლის საქმეა, მთავარი საკითხი ეხლა ის კი არაა, თუ რას მივაღწევთ ჩვენ მომავალში.

მთავარი საკითხი ისაა, თუ უკვე რას მივაღწიეთ ჩვენ ამჟამად. გლეხობა დაადგა კოლმეურნეობის გზას. ეს ძალიან კარგია. მაგრამ რას მიაღწია მან ამ გზაზე?

რას მივაღწიეთ ჩვენ რეალურად როცა მივდიოდით საკოლმეურნეო გზით? ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ დავეხმარეთ ღარიბთა მილიონიან მასებს შესულიყვნენ კოლმეურნეობებში. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ღარიბთა მილიონიანი მასები, როცა შევიდნენ კოლმეურნეობებში და დაიწყეს იქ უკეთესი მიწით და უკეთესი საწარმოო იარაღით სარგებლობა, გაუთანასწორდნენ საშუალო გლეხებს. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ღარიბ გლეხთა მილიონიანი მასები, რომლებიც წინად ცხოვრობდნენ ნახევრად მშიერი, კოლმეურნეობებში, ეხლა გადაიქცნენ საშუალო გლეხებად, გადაიქცნენ უზრუნველყოფილ ადამიანებად.. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ძირი გამოვუთხარეთ გლეხების ფენებად დაყოფას ღარიბებად და კულაკებად, გავანადგურეთ კულაკები და დავეხმარეთ გლეხებს გამხდარიყვნენ თავისი შრომის ბატონ-პატრონები კოლმეურნეობებს შიგნით, გამხდარიყვნენ საშუალო გლეხებად. როგორი იყო საქმე საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლამდე ამ ოთხი წლის წინად?

მდიდრდებოდენ და ქონებას იძენდენ კულაკები. კვნესოდენ და ღატაკდებოდენ ღარიბები, რომლებიც ვარდებოდენ კულაკების კაბალაში. მიიწევდენ ზევით კულაკებისაკენ, საშუალო გლეხები და ყოველთვის ეშვებოდენ ძირს და ამრიგად ავსებდენ ღარიბთა რიგებს კულაკების სასიხარულოდ. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ მთელი ამ ალიაქოთიდან მოგებას ნახულობდენ მხოლოდ კულაკები და, შეიძლება, აქა-იქ შეძლებული მეურნეებიც. სოფლად თითოეულ ას კომლზე მოდიოდა 4—5 კულაკური კომლი, შეძლებულ გლეხთა 8 ან 10 კომლი, საშუალო გლეხთა 40—50 კომლი და კიდევ ღარიბთა 35 კომლი. მაშასადამე, ყველა გლეხურ კომლთა სულ ცოტა 35 პროცენტს შეადგენდენ ღარიბი გლეხები, რომლებიც იძულებული იყვნენ ეწიათ კულაკური კაბალის უღელი. მე უკვე არ ვლაპარაკობ საშუალო გლეხთა ნაკლებად შეძლებულ ფენებზე, რომლებიც შეადგენდენ საშუალო გლეხობის ნახევარზე მეტს, რომლებიც თავიანთი მდგომარეობით ცოტათი განირჩეოდენ ღარიბებისაგან და პირდაპირ იყვნენ დამოკიდებული კულაკებისაგან.

საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლით, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მოვსპეთ ეს ალიაქოთი და უსამართლობა, დავამსხვრიეთ კულაკური კაბალა, ღარიბ გლეხთა მთელი ეს მასა შევიყვანეთ კოლმეურნეობებში, მივეცით მათ უზრუნველყოფილი არსებობა და ავიყვანეთ ისინი საშუალო გლეხთა დონემდე, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ საკოლმეურნეო მიწით, კოლმეურნეობებისათვის მიცემულ შეღავათებით, ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ სულ ცოტა 20 მილიონი გლეხური მოსახლეობა, სულ ცოტა 20 მილიონი ღარიბი გლეხი ვიხსენით გაღატაკებისა და გაჩანაგებისაგან, ვიხსენით კულაკური კაბალისაგან და, კოლმეურნეობების მეოხებით, გადავაქციეთ ისინი უზრუნველყოფილ ადამიანებად.

ეს დიდი მიღწევაა, ამხანაგებო. ეს ისეთი მონაპოვარია, რომლის მსგავსი ჯერ კიდევ არ უნახავს მსოფლიოს და რომლისთვისაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია არც ერთ სახელმწიფოს მსოფლიოში.

აი საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკული, რეალური შედეგები იმის შედეგები, რომ გლეხობა დაადგა კოლმეურნეობების გზას.

მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი პირველი ნაბიჯია, ჩვენი პირველი მიღწევაა საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე.

არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ ჩვენ უნდა შევჩერდეთ ამ პირველ ნაბიჯზე, ამ პირველ მიღწევაზე. არა, ამხანაგებო, ჩვენ არ შეგვიძლია გავჩერდეთ ამ მიღწევაზე. რომ დავიძრათ წინ და საბოლოოდ განვამტკიცოთ კოლმეურნეობები, ჩვენ უნდა გადავდგათ მეორე ნაბიჯი, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ახალ წარმატებას. რაში მდგომარეობს ეს მეორე ნაბიჯი? იგი მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ კოლმეურნეები, ყოფილი ღარიბი გლეხებიც და ყოფილი საშუალო გლეხებიც. იგი მდგომარეობს იმაში რომ **გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად. დიახ, ამხანაგებო, შეძლებულებად. (ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ კოლმეურნეობების მეოხებით ღარიბები ავიყვანეთ საშუალო გლეხების დონემდე. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ ეხლა უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ წინ და დავეხმაროთ ყველა კოლმეურნეებს—ყოფილ ღარიბებსაც და ყოფილ საშუალო გლეხებსაც—ამაღლდნენ შეძლებულ გლეხთა დონემდე. ამის მიღწევა შეიძლება და ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამას რათაც არ უნდა დაგვიჯდეს (**ხანგრძლივი ტაში**). ჩვენ ეხლა გვაქვს ყველაფერი იმისათვის რომ მივაღწიოთ ამ ჩვენს მიზანს. ჩვენს მანქანებს და ტრაქტორებს ამჟამად ცუდად იყენებენ. ჩვენს მიწებს კარგად ვერ ამუშავებენ. საკმარისია გავაუმჯობესოთ მანქანების და ტრაქტორების გამოყენება, საკმარისია გავაუმჯობესოთ მიწის დამუშავება და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ გავადიდებთ ჩვენი პროდუქტების რაოდენობას ორჯერ, სამჯერ, ეს კი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეები გადავაქციოთ საკოლმეურნეო მინდვრების შეძლებულ მშრომელებად.

წინად როგორი მდგომარეობა იყო შეძლებულების მხრივ? იმისათვის, რომ გამხდარიყავი შეძლებული გლეხი, შენი მეზობლები უნდა დაგეჩაგრა, უნდა გაგეყვლიფა ისინი, მიგეყიდა მათთვის ძვირად, გეყიდა მათგან იაფათ, დაგექირავებია მოჯამაგირე, გაგეყვლიფა ის, დაგეგროვებია კაპიტალი, და როდესაც მომარაგდებოდი კულაკად [illegible]

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე).

გაუმარჯოს სოციალიზმის შეიარაღებულ ძალებს

ამხ. სტალინის მისალმება

წითელ არმიას მისი 15 წლის თავის გამო

საბჭოთა კავშირის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

მოსკოვი 22 თებერვალი. სალამი მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს.

წითელმა არმიამ, შექმნილმა ლენინის ხელმძღვანელობით, მოიხვეჭა უკვდავი სახელი სამოქალაქო ომის დიად ბრძოლებში, განდევნა რა საბჭოთა კავშირიდან ინტერვენტები და დაიცვა სოციალიზმის საქმე ჩვენს ქვეყანაში. წითელი არმია წარმოადგენს ამჟამად მშვიდობიანობის და მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი შრომის დასაყრდენ და საბჭოთა კავშირის საზღვრების ფხიზელ გუშაგს. ჩვენი ქვეყნის მუშები, რომლებმაც ძლევამოსილად დაამთავრეს ხუთწლედი 4 წელში, აიარაღებენ წითელ არმიას თავდაცვის ახალი იარაღებით. თქვენი საქმეა, ამხანაგებო, ისწავლოთ ამ იარაღების სამაგალითოდ ხმარება და თქვენი ვალის მოხდა ქვეყნის წინაშე, თუ მტრები შეეცდებიან მასზე თავდასხმას.

ამხანაგებო, მაღლა გეჭიროთ ლენინის დროშა, კომუნიზმისათვის ბრძოლის დროშა!

გაუმარჯოს გმირულ წითელ არმიას, მის ხელმძღვანელებს, მის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს!

ი. სტალინი.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მისალმება

საბჭ. კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს

მოსკოვი, 22 თებერვალი. საქ. კ. პ. (ბ) ცეკა მხურვალე სალამს უგზავნის წითელი არმიის მეომრებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს მისი არსებობის 15 წლისთავზე.

15 წლის წინად პროლეტარიატი და მშრომელი გლეხები, რომლებმაც დაამხვეს ბურჟუაზიის და მემამულეების ხელისუფლება და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, ისტორიაში პირველად შეუდგნენ — ძველი არმიის ნაცვლად, რომელიც წარმოადგენდა ცარიზმის დასაყრდენს და რუსეთის ხალხთა დამონების იარაღს — საკუთარი წითელი არმიის შექმნას, რომელიც გადაიქცა მშრომელთა განთავისუფლებულ იარაღად.

წითელი არმია არის საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხორცი ხორცთაგანი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილ, პროლეტარიატის და გლეხობის განთავისუფლებისათვის ბრძოლის უდიდესი იდეებით გამხნევებულ წითელ არმიას თავისი არსებობის პირველსავე დღიდან მოუხდა შეუპოვარი ბრძოლა კონტრრევოლიუციის ძალების, ინტერვენტების ძალების წინააღმდეგ; პროლეტარული დიქტატურის ახალგაზრდა არმია გამოიბრძმედა ამ ბრძოლაში, მან გვიჩვენა გმირობის მაგალითი, დაიცვა პროლეტარული რევოლიუცია და საბჭოთა ხელისუფლება, გაანადგურა რა კოლჩაკი და იუდენიჩი, დენიკინი და ვრანგელი და ინტერვენტების არმია.

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, ერთი წუთითაც ნუ დაივიწყებთ საბჭოთა კავშირზე სამხედრო თავდასხმის საფრთხეს. მტრები — ჩვენი საზღვრების ფარგლებს გარეშე განაგრძობენ შეიარაღებას, ემზადებიან იმისათვის, რომ წაუპოტინონ თავისი მტაცებლური ხელი საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს. იყავით ფხიზლად!

ამაგრეთ დისციპლინა, ისწავლეთ სამხედრო ხელოვნება.

საბჭოთა კავშირის პროლეტარების და მშრომელთა ძალღონის დაჭიმვით საბჭოთა კავშირში შექმნილია მძლავრი სოციალისტური მრეწველობა — საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის საფუძველი.

პროლეტარები აიარაღებენ წითელ არმიას ახალი მძლავრი სამხედრო ტეხნიკით.

თქვენი საქმეა, ამხანაგებო, დაეუფლოთ ამ ტეხნიკას, ზედმიწევნით ისწავლოთ იმ უახლესი მანქანების მართვა და გამოყენება, რომლებიც შექმნილია საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხელით.

ახალი ტეხნიკის დაუფლებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს—მშვიდობიანობის დასაყრდენს!

გაუმარჯოს წითელ არმიას — საბჭოთა კავშირის გმირულ და მძლავრ დამცველს!

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტი

საკავშირო სახკომსაბჭოს მისალმება

მოსკოვი, 22 თებერვალი. ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო, პოლიტმუშაკებო!

მუშურ - გლეხურ წითელი არმიის ხუთმეტი წლისთავზე საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გიძღვნის თქვენ მხურვალე სალამს. წითელი არმია ჩამოყალიბდა მსოფლიოში პირველი მუშურ - გლეხურ სახელმწიფოსათვის ბრძოლაში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობისათვის უფლების ბრძოლაში სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა, მუშები და კოლმეურნე-გლეხები ძლევამოსილად აშენებენ ახალ, სოციალისტურ საზოგადოებას. მაგრამ წინ კიდევ ბევრი სიძნელეებია მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლაში, მისი სავსებით და საბოლოოდ გამარჯვებისათვის. ამისათვის ჩვენ გვინდა წითელი არმია მისი რკინისებური დისციპლინით, თანამედროვე ტეხნიკით შეიარაღებული, ბოლშევიკურად უძლეველი.

დიდება სამოქალაქო ომის, უცხოელ ინტერვენტების წინააღმდეგ ძლევამოსილი ომის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ძლევამოსილ ომის გმირებს!

გაუმარჯოს წითელი არმიის მებრძოლებს მეთაურებს და პოლიტმუშაკებს-

გაუმარჯოს წითელი არმიის მებრძოლს და ბელადს ამხ. ვოროშილოვს!

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო



სამხედრო აქტივი ამუშავებს საქ. კ. პ. (ბ) ცკას და ც. ს. კ. იანვრის გაერთიანებულ პლენუმის შედეგებს.

ამხ. ვოროშილოვი

ბრძანება

კავკასიის წითელდროშოვან არმიის ჯარებისადმი № 12

ქალ. თბილისი 1936 წლის თებერვლის 23

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო ულოცავს მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მგწ არმიის ხუთმეტი წლის თავს.

ამ მნიშვნელოვან წლისთავს ჩვენ ვდღესასწაულობთ იმ დღეებში, როცა ჩვენი კავშირის მუშათა კლასი, რომელმაც, ძლევამოსილად დაასრულა რა პირველი ხუთწლედის გეგმა 4 წელიწადში, მტკიცედ ჩაუყარა საფუძველი სოციალისტურ ეკონომიკას და გადავიდა მეორე ხუთწლედში — უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედში. მეორე ხუთწლედის პირველ წელში ჩვენი ქვეყანა გადადის ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების ლოზუნგით.

ამ გამარჯვებებს პარტიამ და მუშათა კლასმა მიაღწიეს ბრძოლაში კულაკობისა და კაპიტალისტური წარსულის სხვა ნაშთების გააფთრებულ წინააღმდეგობასთან, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, — ჩვენი პარტიის შიგნით კლასობრივი მტრის ამ აგენტურის წინააღმდეგ.

ამ გამარჯვებებს პარტიამ და მუშათა კლასმა მიაღწიეს ბრძოლაში საზღვარგარეთელი კონტრრევოლიუციის მრავალრიცხოვანი ცდების წინააღმდეგ ჩაეშალათ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა.

წითელი არმია ფხიზლად იცავს საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების სოციალისტურ შრომას.

მგწ არმიის არსებობის ხუთმეტმა წელმა ბევრი ასწავლა მათ, ვინც ოცნებობს შეიარაღებული ძალით გასრისოს მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფო. საკუთარი გამოცდილებით ისინი დარწმუნდენ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დასაწყისი მათი აღსასრული იქნება.

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, მისი ბელადის და გამოცდილი სტრატეგის ამხ. სტალინის მეთაურობით, შემჭიდროებული ბოლშევიკური ცემენტით, შემჭიდროებული კლასობრივი ინტერნაციონალური სოლიდარობით, რკინის კედლად დგას წითელი არმია საბჭოთა თვალუწვდენელი მიწის საზღვრებზე, დგას მშვიდობიანობის სადარაჯოზე და მზად არის უკუაგდოს ყოველგვარი ცდა შელახონ საბჭოთა საზღვრის მთლიანობა.

დეე, ყველას კარგად ახსოვდეს, რომ „არც ერთი გოჯი სხვისი მიწა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ ჩვენი მიწის არც ერთი მტკაველს არავის დაუთმობთ“.

პირველი ხუთწლედის წარმატებებმა, გარდაქმნეს რა ჩვენი ქვეყნის სახე, მისცეს ხელში წითელ არმიას ყველაზე უფრო სრულქმნილი ტექნიკა, ყველაზე უფრო თანამედროვე შეიარაღება.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მებრძოლები და უფროსთა შემადგენლობა ბოლშევიკური დაჟინებით იბრძვიან თავისი ახალი საბრძოლო ტექნიკის დაუფლებისთვის და კლასობრივი ბრძოლის მძლავრი იარაღის — მარქს-ლენინ-სტალინის რევოლიუციური თეორიის დაუფლებისათვის.

ერთგულ ლენინის ანდერძებისა, კავკასიის წითელდროშოვანი არმია აძლიერებს ინტერნაციონალურ კავშირს ამიერ-კავკასიის მშრომელებთან.

ჩვენი ვალდებულებანი მათ წინაშე დღეს მტკიცდება სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებებით საბჭოთა ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის მოწინავე რაზმთან, ბაქოს მუშებთან.

მგწ არმიის ხუთმეტი წლის თავის დღესასწაული ემთხვევა საბჭოთა საქართველოს თორმეტი წლის თავს.

საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მშენებლობის წარმატებები წარმოადგენენ ლენინის ნაციონალური პოლიტიკის სისწორის საუკეთესო საბუთს მეფის თვითმპყრობელობისა და უცხოეთის კაპიტალის მიერ დამონებული ქვეყნიდან, მენშევიკურ-თავადაზნაურული ხელისუფლების მიერ გაპარტახებული ქვეყნიდან, საბჭოთა საქართველო გადაიქცა სოციალიზმის მშენებელ ქვეყნად, მოწინავე სასოფლო - მეურნეობის ქვეყნად, უძვირფასესი ტექნიკური კულტურების (ჩაი, თამბაქო, ბამბა და სხვ.) ქვეყნად.

მისი ზრდის აშკარა მოწმობს წარმოადგენს აგრეთვე ქართული წითელი დივიზიების საბრძოლო წარმატებები, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლები მისცეს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის გასული წლის საბრძოლო მომზადების შეჯამების დროს.

მხურვალე წითელ არმიელური სალამი საბჭოთა საქართველოს მშრომელებს საბჭოების 12 წლის თავზე.

მხურვალე წითელ არმიელური სალამი საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელებს.

მხურვალე წითლარმიელური სალამი მთელი მსოფლიოს მშრომელებსა და ჩაგრულებს, რომლებიც იბრძვიან კომუნისტური ინტერნაციონალის წითელი დროშის ქვეშ!

გაუმარჯოს ბოლშევიკების ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიად მასწავლებელს და მუშათა კლასის საყვარელ ბელადს, ამხ. სტალინს!

გაუმარჯოს წითელ არმიას — მსოფლიო პროლეტარიატის შეიარაღებულ ავანგარდს!

გაუმარჯოს წითელ არმიის ბელადს ამხ. ვოროშილოვს!

კწდ არმიის ჯარების სარდალი სმოლინი
კწდ არმიის რევსაბჭოს წევრები: ბერია, შიფრესი

კიდევ უფრო მაღლა ავსწიოთ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის ფოლადისებური სიმტკიცე

„მუშათა კლასს ისევე კარგად შეუძლია ახალის შენება, როგორც ძველის დანგრევა“. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის ეს სიტყვები მკაფიოდ და ურყევად დადასტურდა პროლეტარიატის დიქტატურის შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის ფრონტზედაც.

მეფის დაშლილი არმიის ნანგრევებზე მუშათა კლასი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შეუდგა თავისი შეიარაღებული ძალების შენებას. მებრძოლი რაზმებიდან, 1905 წლის მუშათა მცირე შეიარაღებული რაზმებიდან წითელგვარდიელთა რაზმების ეტაპის გავლით — პირველი ხუთწლედის პირველი წლის მძლავრ, უზარმაზარ სიძლიერის უძლეველ წითელარმიისაკენ — აი პროლეტარული რევოლიუციის დაცვის ძალთა და საშუალებათ ზრდის და დაგროვების გზა.

„სუსტ და თავდაცვისათვის მოუმზადებელ ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი გადაიქცა თავდაცვის უნარის მხრივ ძლიერ ქვეყნად, ისეთ ქვეყნად, რომელიც მზადაა ყოველგვარი შემთხვევისათვის, ისეთ ქვეყნად, რომელსაც შეუძლია მასიური მასშტაბით აწარმოოს თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღი და მიაწოდოს იგი თავის არმიას იმ შემთხვევაში, თუ თავდასხმა მოხდა“.

ასე შეაფასა ამხ. სტალინმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის ისტორიულ პლენუმზე სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვის უნარი.

და მართლაც, პირველ ხუთწლედში მიღწეულმა უდიდესმა გამარჯვებებმა, სოციალისტური მრეწველობის უდიდესმა ზრდამ, ჩვენი ქვეყნის გადაქცევამ აგრარულიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ბუმბერაზულმა გაქანებამ (200.000 კოლმეურნეობა და 5.000 საბჭოთა მეურნეობა)—ყოველივე ამან ურყევი ბაზა შეუქმნა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ქვეყნის თავდაცვის უნარს.

ჩვენი ქვეყნის უდიდესი ზრდა და აყვავება მით უფრო მკაფიო და დამახასიათებელია, რომ ამავე დროს კაპიტალის ქვეყნები ჩაფლულნი არიან უმძიმეს ეკონომიურ კრიზისში, რომელიც კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის გამოხატულებას წარმოადგენს.

„პარტია უძლეველია, თუ მან იცის სით წაიყვანოს საქმე და არ ეშინია სიძნელეების“; — ამბობდა ამხ. სტალინი. და ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელმაც იცის სით წაიყვანოს საქმე და რომელსაც სიძნელეების არ ეშინია; მუშათა კლასმა, საკოლმეურნეო გლეხობაზე დაყრდნობით შექმნა სოციალიზმის უძლეველი ქვეყანა.

მთელ მსოფლიოს მშრომელთა სიმპატიების ზრდა საბჭოთა კავშირისადმი, რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა კაპიტალის ქვეყნებში — ასეთია ის უდიდესი მნიშვნელობის ძალები, რომლებიც უდიდეს სიმაღლეზე აყენებენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარს, რომლნიც კაპიტალის ქვეყნების იმპერიალისტურ კონტრრევოლიუციონურ თავდასხმას სოციალიზმის ქვეყანაზე თვითონ მათთვის ხდიან უმთავრეს საფრთხედ.

„წითელი არმია ვითარდებოდა და იზრდებოდა პროლეტარულ სახელმწიფოს ზრდასთან ერთად, იგი არ ჩამორჩებოდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებისა და მისი ტეხნიკის დონეს; სხვანაირად არც შეიძლებოდა ჩვენი არმია სოციალისტურ სამშობლოს დასაცავათ არსებობს; ჩვენს სახელმწიფოს, რომელიც გარემოცულია იმპერიალისტთა მტრული რკალით, ერთ დღეც არ შეუძლია იარსებოს თავისი კარგად შეიარაღებული, და ყოველმხრივ ძლიერი არმიის გარეშე. ამიტომ ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, და ბელადი ამხ. სტალინი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა და აქცევენ წითელარმიას. ამიტომაც ხუთწლიან გეგმაში არ შეიძლებოდა გამოხატულება არ ეპოვა საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის ინტერესებს“ (ვოროშილოვი).

ჩვენს ქვეყანასთან ერთად წინ უნდა მიდიოდეს წითელი არმია, რათა იგი სავსებით შეეფერებოდეს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა გვიყენებს.

პირველმა ხუთწლედმა წითელ არმიას მისცა ახალი ტეხნიკური შეიარაღება და ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის უდიდეს წარმატებათა საფუძველზე.

ჩვენ შევქმენით ტყვიამფრქვევების ახალი ბრწყინვალე ნიმუშები (ხელის, საავიაციო, სატანკო ტყვიამფრქვევი), გავაუმჯობესეთ ძველი არტილერია და შევქმენით ახალი სისტემები; ჩვენ ახლად შევქმენით საკუთარი სატანკო იარაღი, უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ საავიაციო მშენებლობაში, დიდი მიღწევები გვაქვს საზღვაო ძალების საბრძოლო უნარის გაძლიერებაში.

ჩვენ გადავჭერით ის ამოცანა, რომ გავმხედრიყავით პირველხარისხოვან, ნამდვილ სოციალისტურ არმიად, რათა შეგვეძლოს ჩვენი გაწრთვნით, ტეხნიკური აღჭურვით გავუმკლავდეთ თავიდან ფეხამდე შეიარაღებული კლასობრივი მტრის ყოველგვარ ცდას, — თავს დაესხას სოციალიზმის ქვეყანას.

წითელი არმიის შემადგენლობაში თვალსაჩინოდ გაძლიერდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილების საბრძოლო მომზადება. ჩვენი კავკასიის არმია წარმოადგენს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განსახიერებას სოციალიზმის ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის ფრონტზე. სოციალისტური მშენებლობის დასაცავად თოფ ქვეშ დამდგარ მრავალრიცხოვან ეროვნებათა მშრომელების ურყევი მთლიანობა, კავკასიის მრავალერიანი არმიის მჭიდრო შეკავშირება პარტიის გენერალური ხაზისა და მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის ირგვლივ, უდიდესი წარმატებანი სასროლო მომზადებაში, მთელი რიგი უეჭველი მიღწევები მთაგორიან პირობებში მოქმედების შეთვისებაში — აი რა შედეგებით ეგებება კავკასიის წითელდროშოვანი არმია წითელი არმიის 15 წლის თავს.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამოცანები დაგვისახა. მეორე ხუთწლედის პირველ წელს ჩვენ ვიბრძვით საბრძოლო გაწვრთნისა და პოლიტიკური მომზადების ამ ახალ უფრო მაღალ მოთხოვნილებისათვის. ჩვენი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი იმის საწინდარია, რომ ჩვენ სავსებით შევასრულებთ ამ ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს.

წითელარმიელებსა და მეთაურთა შემადგენლობას შეგნებული აქვთ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალების შემდგომი განმტკიცების. მათ წინაშე დასმული უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანები, და ისინი უშუალო უახლოეს ამოცანებად ისახავენ გააძლიერონ თავიანთი საერთო და სპეციალური ცოდნა, კიდევ უფრო მაღლა ასწიონ თავიანთი პოლიტიკური დონე, კიდევ უფრო განამტკიცონ სამხედრო დისციპლინა და დააყენონ იმ დონეზე, რომელსაც სამხედრო ტეხნიკის ამოცანები მოითხოვს.

წითელი არმია უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური სკოლაა, სკოლა, რომელიც ზრდის ახალ ადამიანს, სოციალისტური საზოგადოების ადამიანს; ამ სკოლაში ჩვენ ვზრდით სოციალიზმის საქმის თავდადებულ ერთგულს, მსოფლიო რევოლიუციისათვის მაღალი კვალიფიკაციის მებრძოლს.

პირველი ხუთწლედის გამარჯვებათა შედეგად მშრომელთა ფართო მასების მატერიალურ კულტურული დონის საერთო გაუმჯობესებასთან ერთად, თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა წითელი არმიის საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები. ჩვენ ყველა პირობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ სამხედრო მომზადების ახალ მოთხოვნათა დონეზე დავაყენოთ ჩვენი არმია.

კავკასიის წითელდროშოვანმა არმიამ უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია თავის სამხედრო მომზადებაში ამიერ - კავკასიის პარტიული ორგანიზაციების უშუალო დახმარებითა და აქტიური ხელშეწყობით.

ჩვენი საბრძოლო ამოცანაა — კიდევ უფრო დავეხმაროთ ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციას იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში და უმთავრესად უნდა მივაპყროთ ყურადღება იმას, რომ დავეხმაროთ ამიერ - კავკასიის პარტორგანიზაციას სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. აქ განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა ჩვენი ტერიტორიალური ნაწილების როლი.

ჩვენი არმია უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა და ღებულობს სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტ ფრონტებზე. მებრძოლნი ბოლშევიკურად ჩაებნენ მეორე ხუთწლედის პირველი გაზაფხულის თესვის მომზადებაში. სოფლებში, შვებულებ რაიონებში გაგზავნილ წერილების მძლავრი ნაკადი, მრავალრიცხოვანი რჩევა-დარიგება, რაც ამხილებს კოლმეურნეთა კლასობრივ სიფხიზლეს და რაზმავს კოლმეურნეებს ბოლშევიკური თესვის დაკვრითი ხარისხისათვის, კოლმეურნეობებზე შეფობის აღება, საშეფო კოლმეურნეობებისათვის პრაქტიკული საწარმოო დახმარების გაწევა—ასეთია ის საქმეები, რომლითაც მებრძოლნი ებმიან ბოლშევიკურ თესვაზე.

ყოველივე ეს მოწმობს მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობის პოლიტიკური შეგნების ზრდას, ყოველივე ეს მოწმობს მათი რევოლიუციონური სიფხიზლის გამახვილებას, ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ მებრძოლსა და მეთაურს შესწევს ბოლშევიკური უნარი გამოააშკარავოს და გაანადგუროს კლასობრივი მტრისა და მისი აგენტურის ყოველი ცდა, მიმართული იქითკენ, რომ გადალახოს იმ გაშლილ სოციალისტურ შეტევას, რომელსაც აწარმოებს ჩვენი პარტია, ყოველივე ეს მოწმობს მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობის ურყევ ერთგულებას სოციალისტური მშენებლობის საქმისადმი.

თავის 15 წლის თავს წითელი არმია შეეგება როგორც პროლეტარიატის დიქტატურის უძლეველი იარაღი.

წითელი არმიის წინაშე სდგას ამოცანა— კიდევ უფრო შეითვისოს ის მძლავრი სამხედრო ტეხნიკა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მოგვცა. მთლიანად და უნაკლოდ შევძლოთ წითელი არმიის იარაღის მოხმარა, შევძლოთ მტრის ტეხნიკის დამარცხება,— ასეთია ის მოთხოვნები, რომელთა გადაჭრისათვისაც სოციალისტური მშენებლობის მთელი პათოსით იბრძვის წითელი არმიის მებრძოლი და მეთაური.

სოციალიზმის ქვეყანაზე იმპერიალისტთა კონტრრევოლიუციონური სამხედრო თავდასხმის საფრთხე მოითხოვს ჩვენგან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის უნარის კიდევ უფრო გაძლიერებასა და განმტკიცებას. მომავალი ომების ხასიათი, უაღრესად სხვადასხვაგვარი ტეხნიკით, თანამედროვე რთული ომის პირობები—ყოველივე ეს მოითხოვს საბჭოთა კავშირის თვითეულ მოქალაქისაგან სამხედრო ცოდნით აღჭურვას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მხრივ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების საპატიო და საპასუხისმგებლო როლი. წითელი არმიის მაღალკვალიფიციური რეზერვების მომზადება, წითელი არმიისათვის პოლიტიკურად გამობრძმედილი, ტეხნიკური და სამხედრო ცოდნით აღჭურვილი შევსების მიცემა—ასეთია თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანა. კიდევ უფრო უნდა დავეხმაროთ, ვიდრე ეხლა ხდება, თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს იმ უაღრესად საპასუხისმგებლო მოთხოვნის შესრულებაში, რომელსაც მათ ჩვენი ქვეყანა უყენებს.

სოციალისტური მშენებლობის ბუმბერაზული, დიადი წარმატებანი, ფართო მასების ის ენტუზიაზმი, რომლის ნიშნის ქვეშაც დაიწყო და ვითარდება მეორე ხუთწლედის გეგმის შესრულება, ყოველივე ეს კიდევ უფრო ამაგრებს ჩვენი თავდაცვის შეუდრეკლობას, ჩვენი სოციალიზმის ქვეყნის უძლეველობის ურყევ რწმენას.

ჩვენ ყველაფერი მოგვეპოვება იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ მომავალ კლასობრივ ბრძოლებში, მომავალ შეტაკებებში, თუ იმპერიალიზმის ქვეყნები გვაიძულებენ იარაღს მოვკიდოთ ხელი სოციალიზმის ქვეყნის დასაცავად.

ბოლშევიკთა პარტიის ლენინური ხელმძღვანელობით, ამხ. სტალინის გენიალური წინამძღოლობით, წითელი არმიის ბელადის ამხ. ვოროშილოვის ოსტატური სარდლობით კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვის ფოლადისებური სიმტკიცე.

სმოლინი.

ლიყავი. ამით აიხსნება ის, რომ შეძლებული გლეხები წინად, ერთპიროვნულ მეურნეობის დროს ღარიბების და საშუალო გლეხების უნდობლობას და სიძულვილს იწვევდნენ. ეხლა სხვანაირი მდგომარეობაა. ეხლა პირობებიც სხვაა. იმისათვის, რომ კოლმეურნეები გახდნენ შეძლებულ გლეხებად, ეხლა სრულებით არ არის საჭირო მეზობლების დაჩაგვრა ან ექსპლოატაცია. არც ადვილია ეხლა ვინმეს გაყვლეფა, რადგან კერძო საკუთრება მიწაზე ანდა იჯარა ჩვენში უკვე აღარ არსებობს. მანქანები და ტრაქტორები ეკუთვნის სახელმწიფოს, ის ხალხი კი, რომელთაც კაპიტალი აქვთ, მოდაში არ არის ეხლა კოლმეურნეობებში. იყო მოდა და გაქრა სამუდამოთ. იმისათვის, რომ კოლმეურნეები გახდნენ შეძლებულ გლეხებად, ამისათვის ეხლა საჭიროა მხოლოდ ერთი, პატიოსნად მუშაობა კოლმეურნეობაში, ტრაქტორების და მანქანების სწორად გამოყენება. მუშა პირუტყვის სწორად გამოყენება, მიწის სწორად დამუშავება, საკოლმეურნეო საკუთრების დაცვა. ზოგჯერ ამბობენ: თუ სოციალიზმია რატომაა კიდევ სიძნელეები? ვშრომობდით წინათ, ვშრომობთ ეხლა, აღარ არის დრო, რომ თავი დავანებოთ შრომასო? ასეთი სიტყვები, ამხანაგებო, ძირშივე შეცდარია. ეს არის ზარმაცების ფილოსოფია და არა პატიოსანი მშრომელების. სოციალიზმი სრულიადაც არ უარყოფს შრომას. პირიქით, სოციალიზმი შენდება შრომაზე. სოციალიზმი და შრომა განუყოფელია ერთმანეთისაგან. ლენინი, ჩვენი უდიდესი მასწავლებელი, ამბობდა: „ვინც არ შრომობს, ის არ სჭამს“-ო. რას ნიშნავს ეს? ვის წინააღმდეგაა მიმართული ლენინის სიტყვები? ექსპლოატატორების წინააღმდეგ. იმათ წინააღმდეგ, ვინც არ შრომობს და სხვას აიძულებს იშრომოს და მდიდრდება სხვების ხარჯზე. კიდევ ვის წინააღმდეგაა მიმართული? იმათ წინააღმდეგ, ვინც თვითონ ზარმაცობს და უნდა სხვის ხარჯზე მოითბოს ხელი. სოციალიზმი მოითხოვს არა სიზარმაცეს, არამედ იმას, რომ ყველა ადამიანები პატიოსნად შრომობდნენ, შრომობდნენ არა სხვებისათვის, არა მდიდრებისა და ექსპლოატატორებისათვის, არამედ საკუთარი თავისათვის, საზოგადოებისათვის. და თუ ჩვენ ვიშრომებთ პატიოსნად, ვიშრომებთ ჩვენი თავისათვის, ჩვენი კოლმეურნეობებისათვის, ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ რაღაც ორი-სამი წლის განმავლობაში ავიყვანთ ყველა კოლმეურნეებს და ყოფილ ღარიბებს და ყოფილ საშუალო გლეხებს შეძლებულ გლეხების დონემდე, იმ ადამიანების დონემდე, რომლებიც სარგებლობენ პროდუქტების სავსებით საკმაო რაოდენობით და სრულიად კულტურულ ცხოვრებას ეწევიან.

ამაშია ეხლა ჩვენი უახლოესი ამოცანა. ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ამას და უნდა მივაღწიოთ კიდეც რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. (ხანგრძლივი ტაში).

3. ცალკე შენიშვნები

ეხლა კი ნება მომეცით გადავიდე ზოგიერთ ცალკე შენიშვნებზე. უპირველეს ყოვლისა ჩვენი პარტიის წევრების შესახებ სოფლად. თქვენ შორის არიან პარტიულები, მაგრამ კიდევ უფრო მეტია უპარტიოები. ეს ძალიან კარგია, რომ უპარტიოები უფრო მეტი შეგროვდნენ ყრილობაზე, ვიდრე პარტიულები, რადგან სწორედ უპარტიოები უნდა ჩავაბათ უპირველეს ყოვლისა ჩვენს საქმეში. არიან კომუნისტები, რომლებიც ბოლშევიკურად უდგებიან უპარტიო კოლმეურნეებს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც თავი მოაქვთ თავისი პარტიულობით და ახლოს არ იკარებენ უპარტიოებს. ეს არ არის კარგი, ეს საზიანოა. ბოლშევიკების, ძალა, კომუნისტების ძალა იმაშია. რომ მათ იციან ჩვენი პარტიის გარშემორტყმა მილიონ უპარტიო აქტივით. ჩვენ, ბოლშევიკებს, რა გვექნებოდა ის მიღწევები, რომლებიც ეხლა გვაქვს, რომ არ ვიცოდეთ მილიონ მუშების და გლეხების ნდობის დაპყრობა პარტიის სასარგებლოთ. რა არის ამისათვის საჭირო! ამისათვის საჭიროა, პარტიულებმა არ გაემიჯნონ უპარტიოებს, რომ პარტიულები არ მოექცნენ თავისს პარტიულ ნაჭუჭში, რომ მათ ყოყოჩობა არ დაიწყონ თავისი პარტიულობით, არამედ ყური დაუგდონ უპარტიოების ხმას, რომ ისინი არა მარტო ასწავლიდნენ უპარტიოებს, არამედ სწავლობდნენ მათგანაც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიულები ციდან არ ვარდებიან. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა პარტიულები თვითონ ოდესღაც უპარტიოები იყვნენ. დღეს ის უპარტიოა, ხვალ კი პარტიული გახდება. რითი უნდა მოგვქონდეს აქ თავი? ჩვენს შორის, ძველ ბოლშევიკებს შორის ცოტა არ მოიძებნება ისეთი ხალხი, რომლებიც პარტიაში მუშაობენ 20—30 წელიწადი. ჩვენ ხომ ოდესღაც უპარტიოები ვიყავით. რა მოხდებოდა, რომ 20—30 წლის წინათ ჩვენ ახლოს არ მივეკარებინეთ მაშინდელ პარტიულებს და არ დავეშვით პარტიაში?

შესაძლებელია, რომ ჩვენ მაშინ პარტიისაგან მთელი რიგი წლებით ვიყავით დაშორებული. ხოლო ჩვენ ძველი ბოლშევიკები, უკანასკნელი ადამიანები როდი ვართ, ამხანაგებო (მხიარული, გაცხოველებული, ხანგრძლივი ტაში).

აი რატომ უნდა ახსოვდეთ ყველაფერი ეს ჩვენს პარტიულებს, დღევანდელ ახალგაზრდა პარტიულებს, რომელნიც ზოგჯერ ცხვირს მაღლა სწევენ უპარტიოთა წინაშე, უნდა ახსოვდეთ, რომ არა ამპარტავნობა, არამედ თავდაბლობა ამშვენებს ბოლშევიკს.

ახლა რამდენიმე სიტყვა ქალებზე, კოლმეურნე ქალებზე.

ქალთა საკითხი კოლმეურნეობებში დიდი საკითხია, ამხანაგებო. მე ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი სათანადოდ ვერ აფასებს ქალებს და კიდეც დასცინის მათ. მაგრამ ეს შეცდომაა, სერიოზული შეცდომაა, ამხანაგებო. აქ საქმე არა მარტო იმაშია, რომ ქალები შეადგენენ მოსახლეობის ნახევარს. საქმე, პირველ ყოვლისა იმაშია, რომ საკოლმეურნეო მოძრაობამ ხელმძღვანელ თანამდებობებზე წამოაყენა მთელი რიგი შესანიშნავი და ნიჭიერი ქალები. დააკვირდით ყრილობას, მის შემადგენლობას და თქვენ დაინახავთ, რომ ქალები დიდი ხანია უკვე გადაიქცნენ ჩამორჩენილებიდან მოწინავეებად. ქალები კოლმეურნეობებში — დიდი ძალაა. გასაქანი არ მისცე ამ ძალას ნიშნავს ჩაიდინო ბოროტმოქმედება. ჩვენი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ წინ წავწიოთ ქალები კოლმეურნეობებში და საქმეში ჩავაბათ ეს ძალა.

რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლებას ახლო წარსულში მცირეოდენი გაუგებრობა ჰქონდა კოლმეურნე ქალებთან. საკითხი ეხებოდა ძროხას. მაგრამ ახლა ძროხის საკითხი მოგვარებულია და გაუგებრობას ბოლო მოეღო (ხანგრძლივი ტაში). ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ კოლმეურნეთა უმრავლესობას უკვე ყავს თითო ძროხა კომლზე. გაივლის კიდევ ერთი-ორი წელი და თქვენ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ისეთ კოლმეურნეს, რომელსაც თავისი ძროხა არ ეყოლება. ჩვენ, ბოლშევიკები, შევეცდებით, რომ ყველა კოლმეურნეებს ყავდეთ ჩვენში თითო ძროხა (ხანგრძლივი ტაში).

რაც შეეხება თვით კოლმეურნე ქალებს, მათ უნდა ახსოვდეთ კოლმეურნეობათა ძალა და მნიშვნელობა ქალებისათვის, უნდა ახსოვდეთ, რომ მხოლოდ კოლმეურნეობაში აქვთ მათ შესაძლებლობა თანასწორად გვერდში ამოუდგენ მამაკაცს. კოლმეურნეობათა გარეშე—უთანასწორობა, კოლმეურნეობებში თანასწორობა. დეე ახსოვდეთ ეს ამხანაგ კოლმეურნე ქალებს და დეე გაუფრთხილდნენ ისინი საკოლმეურნეო წყობილებას, როგორც თვალის ჩინს (ხანგრძლივი ტაში).

ორიოდე სიტყვა კომკავშირელების და კომკავშირელ ქალების შესახებ.

კოლმეურნეობებში ახალგაზრდობა —ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედია, ამხანაგებო. ჩვენ, მოხუცები, ახალგაზრდობამ უნდა შეგვცვალოს. მან გამარჯვებამდე უნდა მიიტანოს ჩვენი დროშა. გლეხთა შორის ბევრია მოხუცი, დამძიმებული ძველი, ტვირთით, დამძიმებული ჩვეულებებით და ძველი ცხოვრების მოგონებებით გასაგებია, რომ ისინი ყოველთვის ვერ ახერხებენ კვალდაკვალ მისდიონ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას. სულ სხვაა ჩვენი ახალგაზრდობა. ის თავისუფალია ძველი ტვირთისაგან და ახალგაზრდობა ყველაზე უფრო ადვილად ითვისებს ლენინურ ანდერძს. სწორედ ამიტომ იგი მოწოდებულია წაიყვანოს წინ ჩამორჩენილები და მერყევები.

მართალია, მას არ ჰყოფნის ცოდნა. მაგრამ ცოდნა შეიძინება, დღეს ის არ არის, ხვალ იქნება; ამიტომ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვისწავლოთ და კიდევ ვისწავლოთ ლენინიზმი. ამხანაგო კომკავშირელებო, შეისწავლეთ ბოლშევიზმი და წაიყვანეთ წინ მერყევები, ილაყბეთ ნაკლები, იმუშავეთ მეტი და თქვენი საქმე უსათუოდ კარგად წავა. (ტაში).

რამდენიმე სიტყვა ერთპიროვნულ გლეხების შესახებ. ერთპიროვნულ გლეხების შესახებ აქ ცოტა ითქვა; მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი ამ ქვეყანაზე აღარ არიან. არა, ეს ამას არ ნიშნავს. ერთპიროვნული გლეხები არიან და არ შეიძლება მათი მხედველობიდან გაშვება, იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ ხვალინდელ კოლმეურნეებს. მე ვიცი, რომ ერთპიროვნულ გლეხების ერთი ნაწილი გაირყვნა საბოლოოდ და ჩაეფლო სპეკულიაციაში, ალბად ამით აიხსნება, რომ ჩვენი კოლმეურნეები ერთპიროვნულ გლეხებს კოლმეურნეობათა შემადგენლობაში დიდი შერჩევით ღებულობენ, ხოლო ზოგჯერ მათ სრულებითაც არ ღებულობენ; ეს, რასაკვირველია, სწორია და ამის საწინააღმდეგოთ არაფერის თქმა არ შეიძლება; მაგრამ არის ერთპიროვნულ გლეხთა მეორე დიდი ნაწილი, რომელიც სპეკულიაციაში კი არ ჩაფლულა, არამედ თავის პურს პატიოსანი შრომით პოულობს., ეს ერთპიროვნული გლეხები, შესაძლოა, არც არიან კოლმეურნეობაში შესვლის წინააღმდეგი, მაგრამ მათ ხელს უშლის, ერთის მხრივ, მათივე მერყეობა საკოლმეურნეო გზის სისწორის შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ, ის გააფთრება, რომელსაც ადგილი აქვს, ეხლა კოლმეურნეთა შორის ერთპიროვნულ გლეხების წინააღმდეგ. რასაკვირველია, უნდა გავიგოთ კოლმეურნეები და შევიდეთ მათ მდგომარეობაში; ამ წლების განმავლობაში მათ საკმაოდ ბევრი შეურაცყოფა და დაცინვა მოითმინეს ერთპიროვნულ გლეხებისაგან, მაგრამ შეურაცყოფას და დაცინვას არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ცუდია ისეთი ხელმძღვანელი, რომელსაც არ შეუძლია დაივიწყოს საწყენი და რომელიც თავის გრძნობებს კლასობრივი საქმის ინტერესებზე მაღლა აყენებს. თუ თქვენ გინდათ იყოთ ხელმძღვანელები, თქვენ უნდა შეგწევდეთ ამ შეურაცყოფის დავიწყების უნარი, რომელიც ცალკე ერთპიროვნულმა გლეხებმა მოგვაყენათ. ორი წლის წინათ მე ვოლგიდან მივიღე ერთი ქვრივი გლეხი ქალის წერილი. ის სჩიოდა, რომ მას არ ღებულობენ კოლმეურნეობაში და მთხოვდა მე დახმარებას. მე შევიკითხე კოლმეურნეობას; კოლმეურნეობიდან გვიპასუხეს, რომ მათ არ შეუძლიათ მიიღონ ის კოლმეურნეობაში, ვინაიდან მან შეურაცხყო საკოლმეურნეო კრება. რაშია საქმე? იმაშია. რომ გლეხების კრებაზე, სადაც კოლმეურნეები მოუწოდებდნენ ერთპიროვნულ გლეხებს შესულიყვნენ კოლმეურნეობაში, ამ ქვრივმა მოწოდების საპასუხოთ თურმე აიწია კაბა და სთქვა: აჰა, მიიღეთ კოლმეურნეობაო (მხიარული გაცხოველება, სიცილი). რასაკვირველია, ის ცუდად მოიქცა და შეურაცხყო კრება, მაგრამ შეიძლება მას კოლმეურნეობაში შესვლაზე უარი ეთქვას, თუ მან ერთი წლის შემდეგ გულწრფელად მოინანია და აღიარა თავისი შეცდომა? მე ვფიქრობ, რომ მას არ უნდა უთხრათ უარი; მე ასეც მივწერე კოლმეურნეობას. ქვრივი მიიღეს კოლმეურნეობაში და რა გამოვიდა! თურმე ის მუშაობს კოლმეურნეობაში არა უკანასკნელ, არამედ პირველ რიგებში. (ტაში).

აი კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელებმა, თუ მათ სურთ დარჩნენ ნამდვილ ხელმძღვანელებად, უნდა დაივიწყონ წყენა, თუ ამას მოითხოვს საქმის ინტერესი. იგივე უნდა ითქვას ინდივიდუალური გლეხების შესახებაც საერთოდ. მე არა ვარ იმის წინააღმდეგი, რომ კოლმეურნეობაში ღებულობდნენ შერჩევით. მაგრამ მე იმის წინააღმდეგი ვარ, რომ დაუხშონ გზა კოლმეურნეობისაკენ ყველა ინდივიდუალურ გლეხებს. დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა ბეჟენჩუკის კოლმეურნეთა წერილის შესახებ.

ეს წერილი დაბეჭდილი იყო და თქვენ, ალბად, წაიკითხეთ ის. წერილი უდაოდ კარგია. ის მოწმობს, რომ ჩვენს კოლმეურნეთა შორის არიან საკოლმეურნეო საქმის გამოცდილი და მცოდნე ორგანიზატორები და აგიტატორები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენენ; მაგრამ წერილში არის ერთი შემცდარი ადგილი, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები. საქმე იმაშია, რომ ბეჟენჩუკელი ამხანაგები თავის შრომას კოლმეურნეობაში გვიხატავენ წყნარ შრომად და თითქმის უმნიშვნელო შრომად, ორატორების და ბელადების შრომას კი, რომლებიც ზოგჯერ სამ არშინიან სიტყვებს ამბობენ, გვიხატავენ დიდ და შემოქმედებით შრომად. შეიძლება განა ამას დავეთანხმოთ? არა, ამხანაგებო, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამას დავეთანხმოთ. ბეჟენჩუკელმა ამხანაგებმა აქ შეცდომა დაუშვეს. შესაძლებელია, მათ ეს შეცდომა თავდაბლობით მოუვიდათ, მაგრამ შეცდომა მაინც შეცდომად რჩება. გავიდა ის დრო, როდესაც ბელადები ერთად-ერთ შემოქმედად იყო ცნობილი ისტორიაში, მუშები და გლეხები კი არ იყვნენ მიღებული მხედველობაში. ხალხთა და სახელმწიფოთა ბედს ამჟამად სწყვიტენ არა მარტო ბელადები, არამედ, უპირველესყოვლისა, და უმთავრესად, მშრომელთა მილიონიანი მასები. მუშები და გლეხები, ვინც ხმაურობის გარეშე აშენებენ ქარხნებს და ფაბრიკებს, მაღაროებს და რკინის გზებს, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, ვინც ქმნის ცხოვრების სიკეთის, აჭმევს და აცმევს მთელს მსოფლიოს — აი ვინ არიან ახალი ცხოვრების ნამდვილი გმირები და ნამდვილი შემოქმედნი. ეს, როგორც ჩანს, დაივიწყეს ჩვენმა ბეჟენჩუკელმა ამხანაგებმა. ცუდია, როდესაც ხალხი ზედმეტად აფასებს თავის ძალებს და თავი მოაქვთ თავისი დამსახურებით. ამას კვეხნამდე მივყავართ, კვეხნა კი არ არის კარგი საქმე. მაგრამ კიდევ უფრო ცუდია, როდესაც ხალხი სათანადოთ ვერ აფასებს თავის ძალებს და ვერ ხედავს, რომ მათი „წყნარი“ და „უჩინარი“ შრომა ნამდვილად დიადი და შემოქმედი შრომაა. რომელიც სწყვეტს ისტორიის ბედ-იღბალს.

მე მინდა, რომ ბეჟენჩუკელმა ამხანაგებმა მოიწონონ ეს ჩემი პატარა შესწორება მათ წერილში.

მოდი ამით გავათავოთ, ამხანაგებო. (ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველა ფეხზე დგება და ესალმება ამხ. სტალინს. დარბაზიდან ისმის ხმები — „გაუმარჯოს ამხ. სტალინს! „ურა“. გაუმარჯოს მოწინავე კოლმეურნეს. გაუმარჯოს ჩვენს ბელადს ამხ. სტალინს“).

მოსილ ლაშქარს—სახელოვან წითელ არმიას

მისალმებანი წითელ არმიას

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისაგან

მხურვალე სალამი შეიარაღებულ მუშების და გლეხების რკინის რაზმებს, ჩვენს სახელოვან წითელ არმიას მისი არსებობის 15 წლისთავის დღეს.

პროლეტარიატის დიქტატურის არმიამ, სოციალისტური რევოლუციის არმიამ, რომელიც გაიზარდა და გაკაჟდა მკაცრ კლასობრივ ბრძოლებში, ლენინის და სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით უზრუნველჰყო პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება და გაიარა ბრძოლებისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა.

წითელი არმიის 15 წლისთავს საბჭოების ქვეყანა ხვდება მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებების პირობებში, გამარჯვებების რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს პარტიის და მუშათა კლასის ბელადი — პროლეტარული რევოლუციის მკაცრი მებრძოლი ამხ. სტალინი.

მებრძოლ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის დროშა ფრიალებს სოციალისტური რევოლუციის არმიაზე და ამტკიცებს მის ძალებს კომუნისტური ინტერნაციონალის საქმის გამარჯვებისათვის.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ერთგული ნაწილები ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მკაფიო გამოხატულებაა.

უფრო დაჟინებით დაეუფლეთ სამხედრო საქმის ტექნიკას, უფრო ფართოდ გავშალოთ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა ნაწილებში, შევაიარაღოთ მარქს-ლენინ-სტალინის რევოლუციონური თეორიით, ახალ წარმატებებისაკენ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის საბრძოლო ძლიერების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის საბრძოლო ძლიერების განმტკიცებით, მეტი სიფხიზლე კლასობრივი მტრის მანევრებისადმი, ძველი ქვეყნის ყველა ძალების ხრიკებისადმი, რომელთაც ვძულვართ და ეშინიათ ჩვენი, რომლებიც ყოველთვის მზად არიან დაირაზმონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მხურვალე სალამი სახელოვან წითელ არმიას, პროლეტარული რევოლუციის რკინისებურ ბათალიონებს!

საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხ. კომიტეტი.

ა.-კ. ცაკისაგან

წითელი არმიის 15 წლის თავზე ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მრავალეროვანი ფედერაციის მუშათა, კოლმეურნეთა და ყველა მშრომელთა სახელით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის კავკასიის წითელდროშოვანი არმიის წითელარმიელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს.

განვლილი სამოქალაქო ომის დროს შექმნილმა წითელმა არმიამ განვლილი სახელოვანი გზის 15 წლის მანძილზე მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა საბჭოთა კავშირის რევოლუციონური პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის გამარჯვებათა ისტორიაში.

წითელმა არმიამ სასტიკად დაამარცხა რევოლუციის მტრები მეფის ყოფილი ოპრიჩნიკების — თეთრი გენერლებისა და კონტრ-რევოლუციონერების სახით, რომელნიც ეყრდნობოდნენ ევროპის, ამერიკისა და აზიის იმპერიალისტური ქვეყნების ინტერვენტების დახმარებას. გაფანტა მშრომელთა ამ დაუძინებელი მტრების ხროვა და ამით თავისი არსებობის პირველსავე წლებში დაამტკიცა მოწინავე კლასის — მუშათა კლასის შექმნილი არმიის მთელი სიძლიერე.

თავისი ბრწყინვალე გამარჯვებით მეფის გენერლებსა და უცხოელ ინტერვენტებზე მუშათა კლასის არმიამ შესაძლებელი გახადა ოქტომბრის მონაპოვართა და სოციალისტური მშენებლობის განმტკიცება დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

წითელი არმიის 15 წლის თავი ხვდება მეორე ხუთწლედის დიად წელს, როდესაც წითელი არმიის მკერდით დაცული საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი კოლმეურნე-გლეხობასთან ერთად, სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში წარმატებით დამთავრების შემდეგ, იწყებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

თავისი ბრწყინვალე გამარჯვებებით სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის წლებში, ხოლო შემდეგომ წლებში თავიანთი სწავლითა და სამხედრო ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლით, თავიანთი კულტურული მუშაობით და მშრომელ მოსახლეობისათვის დახმარების გაწევით, წითელი არმიის მებრძოლებმა საშუალება მისცეს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატსა და კოლმეურნე გლეხობას მთლიანად, ჩაბმულიყვნენ, თავისი არმიის ფხიზელი დაცვით, მშვიდობიან შრომაში სოციალისტური საზოგადოების შენებისათვის და ამ გზაზე მიეღწიათ მთელ რიგ ბრწყინვალე გამარჯვებებისათვის.

უნახავი ეკონომიური კრიზისით შეპყრობილ კაპიტალისტურ მსოფლიოს არ შეუძლია შეურიგდეს ერთად-ერთი საბჭოთა ქვეყნის არსებობას, იმ ქვეყნის არსებობას, რომელიც თავისი ბრძოლითა და მშენებლობით უჩვენებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ყველა პროლეტარებს, იმპერიალისტების მიერ ჩაგრული ყველა კოლონიალური და ნახევრადკოლონიალური ქვეყნების ხალხებს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა ებრძოლა თავისუფლებისათვის, როგორ შეიძლება თავისი მეურნეობის მშენებლობა მჩაგვრელთა გარეშე.

ჩიხში მომწყვდეული იმპერიალიზმი ახალ საბაბებს ეძებს ჩვენზე თავდასხმისათვის, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ჩაშლისათვის, მსოფლიოში პირველი საბჭოთა ქვეყნის მოსპობისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო, განუხრელად ატარებს რა მშვიდობიანობის პოლიტიკას მთელ მსოფლიოში, ამავე დროს იძულებულია მზად იყოს თავისი საზღვრების დაცვისათვის მის გარშემო მყოფ მტრულ ძალებისაგან.

ეს მდგომარეობა შეგნებული აქვს მთელ წითელ არმიას.

ჩვენი წითელი არმია შეგნებული პროლეტარისა და მშრომელი გლეხის არმიაა.

წითელი არმია არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელ მსოფლიოს მუშათა და ყველა მშრომელთა დამცველია.

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო!

მაღლა გვეჭიროთ სოციალისტური რევოლუციის დიადი დროშა, ლენინის დროშა.

მაგრად დაიჭირეთ თოფი ხელში და ფხიზლად ადევნეთ თვალყური საბჭოთა კავშირის მტრების მახინაციებს, უფრო მაღლა აწიეთ თქვენი პოლიტიკური და საბრძოლო მომზადება.

განამტკიცეთ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილების ინტერნაციონალური მთლიანობა და მათი განუყრელი კავშირი ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მშრომელ მასებთან;

გაუმარჯოს ოქტომბრის პირმშოს — სოციალიზმის მშენებლობის ქვეყნის დიად რევოლუციონურ არმიას.

გაუმარჯოს კავკასიის სახელოვან წითელდროშოვან არმიას!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიად პარტიას — საკ. კომუნისტურ პარტიას (ბ) ლენინურ ცენტრალური კომიტეტის და ამხ. სტალინის მეთაურობით!

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

ა.-კ. სახკომსაბჭოსაგან

სოციალისტური მშენებლობის წითელი საზღვრების საიმედო, დაუღალავ გუშაგს მსოფლიო პროლეტარიატის და იმპერიალიზმის ქვეყნების ჩაგრულ ხალხთა ერთგულ მეგობარს—უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო უგზავნის მხურვალე სალამს.

წითელი არმიის 15 წლის თავი ხვდება მეორე ისტორიულ თარიღს—მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებას—პირველი ხუთწლედის დამთავრებას 4 წელიწადში. მძიმე ინდუსტრიის განვითარების ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულება ძალიან დიდათ დაეხმარა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას და წითელი არმიის მომარაგებას თავდაცვის მოწინავე ტექნიკური საშუალებებით. ჩვენმა უდიდესმა გამარჯვებებმა ინდუსტრიალიზაციის და სოციალისტური საზოგადოების ფრონტზე განამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა — როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ბაზისა.

მიუხედავად ამისა საბჭოთა კავშირის შენით დაღუპვის გზაზე მყოფი კლასები არ ნებდებიან გააფთრებული წინააღმდეგობის გარეშე, გაძლიერებული კლასობრივი ბრძოლის გარეშე. ამ კლასობრივ ბრძოლაში მონაწილეობენ აგრეთვე მსოფლიო ბურჟუაზიის ყველაზე აგრესიული ჯგუფები, რომელნიც გამოსავალს კაპიტალიზმის ისტორიაში არნახული კრიზისიდან ეძებენ ომში სოციალიზმის ქვეყანასთან—საბჭოთა კავშირთან.

სულ უფრო გაღრმავებული კრიზისის ფონზე კაპიტალიზმის ქვეყნებში მრეწველობის მხოლოდ ერთმა დარგმა არ იცის დაცემა—ეს სამხედრო ქარხნებმა. შეიარაღების გააფთრებული დოლი გრძელდება, იზრდება უთანხმოებანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. მეორე წელიწადია, რაც არ სწყდება ზარბაზნების გრიალი შორეულ აღმოსავლეთში. კაპიტალისტური მსოფლიო მიილტვის ახალ სისხლისმღვრელ ომებისაკენ. როგორც მოსამზადებელ კომისიას, რომელიც წლობით გრძელდებოდა, ისე თვით განიარაღების კომისიას, გარდა ერთი ადგილზე უნაყოფო ტკეპნისა, ერთი ნაბიჯითაც არ წაუწევია წინ ხალხთა განიარაღების საქმე.

მხოლოდ საბჭოთა კავშირი აწარმოებს მშვიდობიანობის თანმიმდევარ, მოფიქრებულ პოლიტიკას. ჩვენი მთავრობა, გამოხატავს რა მშრომელთა მასების მტკიცე სურვილს მშვიდობიანობისაკენ, შემდეგშიაც აწარმოებს გადამწყვეტ ბრძოლას მშვიდობიანობისათვის.

მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობა კვლავ გვიკარნახებს გავაძლიეროთ სიფხიზლე საბჭოთა საზღვრების დასაცავად, გავამახვილოთ ყურადღება საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განსამტკიცებლად.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ წითელი არმია, რომლის ძალა საბჭოთა კავშირის მშრომელებთან განუყრელ კავშირშია, მათ ენტუზიაზმში და გმირობაშია, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით შესძლებს საკადრისი პასუხი გასცეს ყველა მათ, ვინც შეეცდება დაარღვიოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოციალისტური სამშობლოს მშვიდობიანი შრომა.

მაღლა ავსწიოთ სამხედრო საქმის ახალი ტექნიკური ბაზის დაუფლების ტემპები.

მეტი კლასობრივი სიფხიზლე კლასობრივი მტრის მახინაციებისადმი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

განვამტკიცოთ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ინტერნაციონალური ნაწილების მთლიანობა.

გაუმარჯოს წითელ არმიას.

გაუმარჯოს წითელი არმიის 15 წლისთავს—პროლეტარიატის ერთ-ერთ ბრწყინვალე გამარჯვებათაგანს, რომელმაც დაამთავრა სოციალიზმის საძირკვლის აგება მსოფლიოს ერთ მეექვსედზე.

გაუმარჯოს წითელი არმიის ბელადს და ორგანიზატორს—საკ. კ.პ. (ბ) ცეკას მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **მუსაბეკოვი.**

საქ. კ. პ. (ბ) ცეკასაგან

სახელოვან მუშურ-გლეხურ წითელ არმიას მისი არსებობის 15 წლის თავზე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი უძღვნის მხურვალე ბოლშევიკურ სალამს.

წითელი არმია—საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანობის პოლიტიკის ბურჯია, საბჭოთა საზღვრების ფხიზელი გუშაგი, ოქტომბრის რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის ერთგული დარაჯი.

კავკასიის წითელდროშოვანის წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ დაუღალავად განახორციელეთ ცხოვრებაში ამხ. სტალინის ლოზუნგი—„ბოლშევიკებმა უნდა დაეუფლონ ტექნიკას“.

გაუმარჯოს წითელ არმიას—პროლეტარიატის დიქტატურის არმიას!

გაუმარჯოს მუშათა კლასის რკინის კოჰორტას—ლენინურ საკ. კ.პ. (ბ)-ს და მის ბელადს, პროლეტარული რევოლუციის სტრატეგსა და ტაქტიკოს ამხ. სტალინს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

საქ. ცაკისაგან

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს მუშების, კოლმეურნების, ღარიბ-საშუალო გლეხობისა და მშრომელი მოსახლეობის სახელით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის წ.-არმიისა და და მის განუყოფელ ნაწილის—კავკასიის წითელდროშოვან არმიის სახელოვან მებრძოლებს მეთაურებს და პოლიტ-მუშაკებს—წ.-არმიის და წითელი ფლოტის არსებობის 15 წლის თავზე.

დიდი ოქტომბრის პირმშო, უმკაცრეს სამოქალაქო ომებში და სხვადასხვა ჯურის ინტერვენტების წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლებში განმტკიცებული წითელი არმია და წითელი ფლოტი დღეს პროლეტარული დიქტატურის ფხიზელი დარაჯი და მისი მშვიდობიანი სოციალისტური აღმშენებლობის აქტიური მონაწილეა.

და სწორედ იმიტომ, რომ წ-არმია მტკიცედ სდარაჯობს პროლეტარულ სახელმწიფოს საზღვრებს, შესაძლებელი გახდა ბუმბერაზული სოციალისტური აღმშენებლობის გაშლა, სადაც მუშების, კოლმეურნების, ღარიბ და საშუალო გლეხობის მილიონიანი მასები შრომითი ენტუზიაზმით ქმნიან ახალ სოციალისტურ მეურნეობას, ახალ სოციალისტურ საზოგადოებას.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე და სწორი ხელმძღვანელობით, კლასიური მტრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით, კონტრრევოლუციური ტროცკიზმისა და მემარჯვენე-„მემარცხენე“—და მათთან შემრიგებ-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე)

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის

მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1933 წლის 19 თებერვლის დადგენილება

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების, რაიაღმასკომების მიწათმოქმედების განყოფილების გამგეების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების თათბირის მასალების საფუძველზე აღნიშნავს, რომ სოფლად მუშაობას რამდენიმე გაუმჯობესების შედეგად საქართ. კარტორგანიზაციებმა თავის დროზე ჩაატარეს შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანია და ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება, უფრო მომზადებულნი, ხვდებიან 1933 წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიას.

გასული წელთან შედარებით საგრძნობი მიღწევები გვაქვს მზრალად ხვნის დარგში (72,5 ათასი ჰექტარი 40,5 ათასი ჰექტარის წინააღმდეგ), საზამთრო არატის (5,6 ათასი ჰექტარი 1,2 ათასი ჰექტარის წინააღმდეგ), თავთავიანი თესლის შეგროვებაში (64.000 ცენტნერი 30.000 ცენტნერის წინააღმდეგ), სიმინდი (66.000 ცენტნერი 12.000 ცენტნერის წინააღმდეგ), ტრაქტორების რემონტის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და სხვ.

ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ გაითვალისწინეს ამხ. სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ „პარტია, თუ სურს უხელმძღვანელოს საკოლმეურნეო მოძრაობას, უნდა ჩაწვდეს საკოლმეურნეო ცხოვრების და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის ყველა დეტალებს“. ეს ჩანს იქიდან, რომ: 1 კოლმეურნეობების საგრძნობ ნაწილში ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული შემოსავლის განაწილება.

2. წლიური ანგარიშები კოლმეურნეობების და რაიონების უმრავლესობაში არ არის შედგენილი.

3. შემოსავლის განაწილების საქმეში ადგილი აქვს პარტიისა და მთავრობის დირექტივების უხეშ დამახინჯებას, რაც გამოიხატა იმაში, რომ მთელმა რიგმა რაიონებმა საგრძნობლად შეამცირეს შრომა-დღეების მიხედვით გასანაწილებელი საერთო შემოსავლის ნაწილის ხვედრითი წონა და შრომა-დღის შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, 1932 წელს კოლმეურნეობებში საგრძნობლად გადიდდა შემოსავალი.

4. კოლმეურნეობების და ბრიგადების წლიური საწარმოო გეგმების შედგენა მიმდინარეობს რაიონული პარტიული, და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ არასაკმაო ყურადღებით და ხელმძღვანელობით.

5. ცალკე კოლმეურნეობები დანაგვიანებულია კულაკებით, მენშევიკებით, აზნაურებით, ქურდებით და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებით, რომლებიც ზოგჯერ განაგებენ კოლმეურნეობებს და აწყობენ იქ მავნებლობას და საბოტაჟს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის რაიონულ კომიტეტებს, რაიაღმასკომებს, სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს დაუყოვნებლივ შეუდგენ მოსავლის განაწილების შედეგების გულდასმით შესწავლას თვითეულ ცალკე კოლმეურნეობაში, გამოასწორონ ყველა დაშვებული დამახინჯებანი და უზრუნველყონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების განუხრელი გატარება კოლმეურნეობის მოსავლის და შემოსავლის განაწილებაში, დაამთავრონ ყველა ეს მუშაობა და აგრეთვე წლიური ანგარიშების შედგენა არა უგვიანეს პირველი თებერვლისა.

ვინაიდან კოლმეურნეობებისა და ბრიგადების წლიური საწარმოო გეგმების თავის დროზე და სისწორით შედგენა წარმოადგენს ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობას გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის კოლმეურნეობების მომზადების საქმეში, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებს პარტიის რაიონულ კომიტეტებს, რაიონულ აღმასკომებს, რაიონული მიწათმოქმედების განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, დაუყოვნებლივ დარაზმონ მთელი ძალები და დაამთავრონ აღნიშნული გეგმების შედგენა არა უგვიანეს თებერვლის დამლევისა, უზრუნველყონ მათი ზედმიწევნით ზუსტად დამუშავება კოლმეურნეთა ფართო მასებს შორის.

ამხ. სტალინის იმ მითითებების საფუძველზე, რომლებიც გულისხმობენ იმას, რომ კოლმეურნეობები წარმოადგენენ რა სამეურნეო ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმას, „შეიძლება გადაიქცნენ განსაზღვრულ პერიოდში ყოველგვარი კონტრრევოლუციური მოქმედების საფარად“, იმის მიხედვით, „თუ ვინ სდგას კოლმეურნეობის სათავეში და ვინ უწევს მას ხელმძღვანელობას“, საქ. კ. პ. (ბ) ცეკა წინადადებას აძლევს პარტიის რაიონულ კომიტეტებს, რაიონულ აღმასკომებს, რაიონულ მიწათმოქმედების განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით დაუყოვნებლივ შეიტანონ კოლმეურნეობათა გამგეობების და სარევიზიო კომისიების შემადგენლობაში, მოანგარიშეებს, ბრიგადირებს, საწყობების და ბეღლების გამგეებს, პირუტყვის მომვლელებს და სხვ. გულდასმითი პერსონალურ შემოწმებას, განდევნონ კოლმეურნეობებიდან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებიდან კულაკები, მენშევიკები, მუქთამჭამელები და სხვ. ანტისაბჭოთა ელემენტები, უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში ყველა ხელმძღვანელი და სამეურნეო თანამდებობანი საქმით შემოწმებული და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ერთგული კომუნისტებით, კომკავშირელებით და უპარტიო კოლმეურნეებით.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების უმრავლესობის სამეურნეო მდგომარეობა საქართველოში საფრთხეს უქმნის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით ჩატარებას და აღნიშნავს:

1. სარემონტო სახელოსნოების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობას და სამანქანო-სატრაქტორო პარკის რემონტის სამუშაოებზე დაბანდებული კადრების დაბალ კვალიფიკაციას, რის გამო მთელ რიგ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში საფრთხე მოელის რემონტის ხარისხს.

2. აღრიცხვის და ანგარიშწარმოების და საფინანსო მეურნეობის სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს მიწათმოქმედების კომისარიატს, ტრაქტორცენტრს პარტიის რაიკომებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს და დირექტორებს ყოველდღიური, შეუპოვარი, ოპერატიული მუშაობით უზრუნველყონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სამეურნეო-ტექნიკური განმტკიცება და მათი გადაქცევა ნამდვილ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ცენტრებად კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის საქმეში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სცნობს, რომ ამხ. სტალინის და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის მითითებების განუხრელად განხორციელებასთან ერთად, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს:

ა) სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მთელი სამანქანო-სატრაქტორო პარკის და იმ კოლმეურნეობების, რომელთაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის მთლიანად დამთავრებას, რემონტის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასთან ერთად არა უგვიანეს თებერვლის დამლევისა.

ბ) სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის ხელშეკრულებების დადების კამპანიის, როგორც უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური კამპანიის თავის დროზე ჩატარების ორგანიზაცია.

4. ვინაიდან განსაკუთრებით სახიფათო მდგომარეობაშია სამანქანო-სატრაქტორო პარკის რემონტის საქმე გალის, ზუგდიდის და ოჩემჩირის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, აგრეთვე ერბო-კარაქტრესტის და საქკოოპმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებში, საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკა გაფრთხილებას აძლევს ერბო-კარაქტრესტის დირექტორს ამხ. გოგიშვილს, საქკოოპმეურნეობის დირექტორს ამხ. ქურციკაშვილს და ზემოდჩამოთვლილი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, რომ, თუ ისინი უახლოესი ხუთი დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ გადამწყვეტ გარდატეხას სამანქანო-სატრაქტორო პარკის და საკოლმეურნეო ინვენტარის რემონტის საქმეში, ისინი მიცემული იქნებიან უსასტიკეს პარტიულ და სასამართლო პასუხისგებაში მუშაობის ჩაშლისათვის.

5. იმის გამო, რომ საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის, ცეკავშირის და სხვ. სისტემის ხაზით მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები არ არიან უზრუნველყოფილი მუშა-ხელით, თესლით, ფურაჟით, აგრეთვე არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ტრაქტორების რემონტი და არა თავის დროზე სწარმოებს სამრეწველო-საფინანსო გეგმის შედგენა — წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს და ცეკავშირს დაუყოვნებლივ მიიღონ გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ უზრუნველყონ საბჭოთა მეურნეობები სათესლე მასალით, გააუმჯობესონ მუშა-პირუტყვის მოვლა, შექმნან საკვები ფონდი გაზაფხულისათვის, დროზე შეაგროვონ მუშა-ხელი კოლმეურნეობებთან შესაფერი ხელშეკრულებების დადების გზით, და ა. წ. 1 მარტისათვის დაამთავრონ სამრეწველო-საფინანსო გეგმების შედგენა.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკა ერთხელ კიდევ აფრთხილებს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს არ დაუშვან ერთპიროვნული მეურნეობების მნიშვნელობის შეუფასებლობა, იმ მეურნეობების, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ თამაშობენ დიდ როლს. და წინადადებას აძლევს მათ ყოველმხრივ გააძლიერონ ხელმძღვანელობა ერთპიროვნული მეურნეობების გაზაფხულისათვის მზადების საქმეში, კერძოთ, უზრუნველყონ თესლის საჭირო რაოდენობის დაგროვება ერთპიროვნული მეურნეობათა საკუთარი რესურსებიდან, სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის ორგანიზაცია და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკა სცნობს, რომ რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საგრძნობი უმრავლესობა საგაზაფხულო კულტურების თესვის მტკიცე გეგმების ერთპიროვნულ მეურნეობამდე დაყვანის სისტემას უყურებს როგორც ტექნიკური ხასიათის ღონისძიებას და ვერ აფასებს აღნიშნული ღონისძიების უდიდეს სამეურნეო-პოლიტიკურ როლს ერთპიროვნულ მეურნეობათა ხელმძღვანელობის საქმეში.

ამიტომ საქ. კ. პ. (ბ) ცეკა წინადადებას იძლევა ჩატარდეს ფართო მასიურ-პოლიტიკური მუშაობა მოცემულ ღონისძიებათა გატარებისათვის და გამომჟღავნებულ იქნას კულაკური, ანტი-საბჭოთა ელემენტების ცდები — მოაწყონ საბოტაჟი, რაც მიმართულია ამ მუშაობის ჩაშლისაკენ.

ცეკა კატეგორიულ წინადადებას აძლევს ყველა იმ რაიონების პარტკომების მდივნებს, აღმასკომების თავმჯდომარეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, რომლებიც ჩამორჩენილი არიან კოლმეურნეობების მიერ თესლის შეგროვების საქმეში, გააჩაღონ მუშაობა და თებერვლის დამლევამდე მიაღწიონ სათესლე ფონდების შეგროვების გეგმების მთლიანად შესრულებას, განსაკუთრებით კართოფილის მხრივ. ამასთან ერთად ცეკა ავალებს ყველა რაიკომებს, რაიაღმასკომებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს მოაწყონ თვითეული კოლმეურნეობის, თვითეული სოფლის და სასოფლო საბჭოს შემოწმება იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად არიან ისინი უზრუნველყოფილი თესლით, როგორ ინახება თესლი და როგორია მისი ხარისხი.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის პერიოდში მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უმეტესი ნაწილი შესრულებულ უნდა იქნას ცოცხალი გამწევი ძალით, მაგრამ როგორც ტრაქტორცენტრის სისტემა ისე მიწათმოქმედების და პარტიული ორგანოები დღემდე ჯერ კიდევ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას საგაზაფხულო მუშაობისათვის, მუშა-პირუტყვის მომზადების და ორგანიზაციის საკითხებს; (მოვლა, საკვები და სხვ.).

ცეკა წინადადებას აძლევს მიწსახკომს, ტრაქტორცენტრს, რაიკომებს, რაიაღმასკომებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, საქ. კ. პ. (ბ) ცეკა და საკავშირო სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე, გაშალონ მუშაობა და, უზრუნველყონ გადაწყვეტილების შესრულება საფურაჟე ფონდის დაგროვების საქმეში, გააუმჯობესონ მუშა-პირუტყვის მოვლა, უზრუნველყონ ისინი ნალებით და ნალის დასაჭედავი ლურსმნებით.

იმის გამო, რომ საჭიროა „სოფლის მეურნეობის დარგში მომავალ ყველა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის წარმართვა იმ მხრივ, რომ გადიდებული იქნას უკლებლივ ყველა კულტურების მოსავლიანობა, რაც ეხლანდელ მომენტში წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრალურ ამოცანას“ — საქ. კ. პ. (ბ) ცეკა წინადადებას აძლევს მიწსახკომს, ტრაქტორცენტრს, რაიკომებს, რაიაღმასკომებს, საბჭოთა მეურნეობებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს უზრუნველჰყონ ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებათა (სადრეო მოხვნა თესვა, მოხვნის სიღრმე, მინერალური სასუქის შეტანა, მწკრივად თესვა, გამოთესვის ნორმები, თესლის გაწმენდა და შეწამვლა და სხვ.) აუცილებლად შესრულება დაწესებულ ვადებში, ამასთან საქ. კ. პ. (ბ) ცეკა გაფრთხილებას იძლევა, რომ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ აგროტექნიკურ წესების ყოველგვარი დარღვევა შეფასებული იქნება როგორც პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დირექტივის ჩაშლა, როგორც კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტებისათვის პირდაპირი ხელის შეწყობა.

იმის გამო, რომ თესლბრუნვა წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას და, რომ საქართველოს რაიონებს ჯერ კიდევ არა აქვთ არავითარი გამოცდილება თესლბრუნვის ჩატარების საქმეში წინადადება მიეცეს მიწსახკომს, ტრაქტორცენტრს, პარტიის რაიკომებს და რაიაღმასკომებს, დეტალურად განიხილონ ტიპიური თესლბრუნვის საკითხები და დააწესონ კონკრეტული თესლბრუნვა თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის, ამასთან მხედველობაში მიიღონ სახელმწიფოს მიერ მოცემული გეგმიანი დავალებანი და გაითვალისწინონ კოლმეურნეობათა ყველა პირობები და თავისებურებანი.

აღნიშნავს რა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ადგილი აქვს დიდ მიღწევებს ტექნიკური კულტურების და, ამ კულტურების ფართობების გადიდების საქმეში, ცეკა ამავე დროს მიუთითებს სერიოზულ გარღვევებზე ბამბის, ჩაის, თამბაქოს და ქარხნის მოსავლიანობის ხაზით და წინადადებას აძლევს საქართველოს მიწსახკომს და პარტიის რაიკომებს განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიონ ისეთ ღონისძიებათა გატარებას როგორიცაა ჩაის პლანტაციების რემონტი, სასათბურე და სანერგე მეურნეობის თავის დროზე მოწყობა, სადრეო მოხვნის ჩატარება, წყალთა მეურნეობის სისტემის მომზადება ბამბისათვის, სასუქის და საკვლის შეტანა, აგროტექნიკის ყველა წესების დაცვა და სხვ.

ვინაიდან საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის თესვის კომიტეტის პრაქტიკულმა მუშაობამ საგრძნობლად გააუმჯობესა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ოპერატიული ხელმძღვანელობა საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მზადების საქმეში, დაევალოს თესვის კომიტეტს განაგრძოს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ყველა სამუშაოების სისტემატიური, ყოველდღიური ხელმძღვანელობა.

ცეკას ბიურო განსაკუთრებით ამახვილებს პარტორგანიზაციების ყურადღებას, კადრების მომზადების და ძალთა სწორად განაწილების საკითხებზე, რაც წარმოადგენს დღევანდელი დღის გადამწყვეტ პრობლემას. ცეკა წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას ჩამორჩენა (მიწსახკომი, ტრაქტორცენტრი) და გარღვევები (საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო, ლიმონტრესტი) მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადების საქმეში და უყოყმანოდ უზრუნველყოფილ იქნას კადრების მომზადების ხარისხი და გეგმების შესრულება დანიშნულ ვადაზე; დაჩქარდეს ცეკას იმ დირექტივის შესრულება, რომელიც ეხება სოფლად მუშაობის გადამწყვეტი დარგების (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებები) განმტკიცებას კადრებით, რაიონიდან სოფლად მუდმივ სამუშაოზე საქმით შემოწმებულ მუშაკების გაგზავნის გზით. დამთავრდეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, საბჭოთა მეურნეობების და კოოპმეურნეობების ყველა კადრების შემოწმება და დაუყოვნებლივ გაიწმინდოს მათი შემადგენლობა კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას ამასთან განმტკიცებულ იქნას აღნიშნული დარგები ხელმძღვანელი კადრებით და სპეციალისტებით, ცენტრიდან და რაიონებიდან მუშაკთა გაგზავნის გზით.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკა ერთხელ კიდევ მოაგონებს სოფლის ყველა პარტიულ და, საბჭოთა ორგანიზაციებს, რომ სოფლად კულაკი თუმცა განადგურებულია მაგრამ, იგი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი, ამიტომ არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ცალკე რაიონებში და მუშაობის ცალკე უბნებზე მოეწყოს კულაკური საბოტაჟი და მავნებლობა, რაც მიმართული იქნება პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა ჩაშლისაკენ.

საჭიროა სოფლის მუშაკთა ბოლშევიკური სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერება და „უპარტიო აქტივის მტკიცე შეკავშირება პარტიულ-კომკავშირული, უჯრედების გარშემო ისე რომ არ გამოეჯნონ უპარტიო კოლმეურნეებს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, არამედ პირიქით — მათთან კავშირის დამყარებით, და თანამშრომლობის გზით მიაღწიონ იმას, რომ კოლმეურნეობები, — უკლებლივ ყველა კოლმეურნეობები, თავისი ხელმძღვანელობის მხრივ გადაიქცნენ ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად“. (ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებიდან).

პარტიის ხაზის გადაჭრით გატარებას, პარტორგანიზაციების მთელ რიგ რგოლებში თვითდინების აღმოფხვრის პარტიის პოლიტიკისადმი კლასობრივი მტრის წინააღმდეგობის ყოველგვარ გამოხატულებებთან დაუნდობელი ბრძოლა. პარტიის რიგების მთლიანობის განმტკიცებას ყველა ანტი-პარტიულ განწყობილებებისათვის სასტიკი წინააღმდეგობის გაწევის, გადაგვარებულ და პარტიისათვის უცხო გადაქცეულ ელემენტების გაწმენდის საფუძველზე“. (ცეკას და ცენტრალური საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მიაღწევს მეორე ხუთწლედის პირველი წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

კ. ვოროშილოვი

სტალინი და წითელი არმია*)

1918—1920 წლების პერიოდში ამხ. სტალინი იყო თითქმის ერთად-ერთი ადამიანი, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი გზავნიდა ერთი საბრძოლო ფრონტიდან მეორეზე, არჩევდა რევოლუციისათვის ყველაზე უფრო საშიშ, ყველაზე უფრო მძიმე ადგილებს. იქ, სადაც შედარებით სიმშვიდე და უკეთესი მდგომარეობა იყო, სადაც ჩვენ გვქონდა წარმატებები, იქ არ სჩანდა სტალინი. მაგრამ იქ, სადაც მთელი რიგი მიზეზების გამო იმზარებოდა წით. არმიის ნაწილები, სადაც კონტრ-რევოლუციონური ძალები ავითარებდენ თავიანთ წარმატებებს, ემუქრებოდნენ თვით საბჭოთა ხელისუფლების არსებობას, სადაც არევ-დარევას და პანიკას ყოველ წუთს შეეძლო გადაქცეულიყო უმწეობად, კატასტროფად,—იქ გამოჩნდებოდა ამხ. სტალინი. მას არ ეძინა ღამით, ის აწყობდა, ის იღებდა თავის მტკიცე ხელში ხელმძღვანელობას, ის ამსხვრევდა, იყო შეუბრალებელი და—ქმნიდა გარდატეხას, აჯანსაღებდა მდგომარეობას. თვით ამხ. სტალინი სწერდა ამის შესახებ ერთ თავის წერილში ცენტრალური კომიტეტისადმი 1919 წელს, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ „მას ხდიან სამხედრო უწყების თავლების გასუფთავების სპეციალისტად“.

ცარიცინი

თავისი სამხედრო მუშაობა ამხ. სტალინმა დაიწყო ცარიცინის ფრონტიდან და სავსებით შემთხვევით, 1918 წლის ივნისის დასაწყისში ამხ. სტალინი წითელარმიელთა რაზმით და ორი ჯავშნიანი ავტომობილით მიემგზავრება ცარიცინში, როგორც მთელი სასურსათო საქმის ხელმძღვანელი სამხრეთ-რუსეთში. ცარიცინში მას ხვდება წარმოუდგენელი ქაოსი არა მარტო საბჭოთა, პროფესიული და პარტიული ორგანიზაციებში, არამედ კიდევ უფრო მეტ არევ-დარევას და გაურკვევლობას სამხედრო სარდლობის ორგანოებში. ამხ. სტალინი თვითეული ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდა საერთო ხასიათის დაბრკოლებებს, რაც ხელს უშლიდა მას შეესრულებინა მისი პირდაპირი ამოცანები. ეს დაბრკოლებანი განსაკუთრებით იყო პირველ ყოვლისა იმით, რომ ძლიერდებოდა კაზაკთა კონტრრევოლუცია, რასაც მაშინ უხვ დახმარებას უწევდენ გერმანელი ოკუპანტები, რომელთაც უკრაინა ეჭირათ. კაზაკთა კონტრ-რევოლუციური ბანდები მალე იპყრობენ ცარიცინის მახლობელ მთელ რიგ პუნქტებს და ამით არა მარტო სპობენ მოსკოვისა და ლენინგრადისათვის პურის გაგზავნის შესაძლებლობას, არამედ ცარიცინისათვისაც უდიდეს საფრთხეს ჰქმნიდენ.

უკეთესი მდგომარეობა არც სხვაგანაა. მოსკოვში ხდება მემარცხენე ესერების აჯანყება, აღმოსავლეთში ღალატობს მურავიოვი, ურალზე ვითარდება და ძლიერდება ჩეხო-სლოვაკელთა კონტრრევოლუცია, სამხრეთში—ბაქოს უახლოვდებიან ინგლისელები. დეპეშა-დეპეშაზე იგზავნება ამხ. სტალინთან ცარიცინში ლენინისაგან და პირიქით. ლენინი გაფრთხილებას გვაძლევს საფრთხეზე, გვამხნევებს, მოითხოვს გადამწყვეტი ზომების მიღებას. ცარიცინის მდგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თუ დონზე აჯანყება მოხდება და ცარიცინს დავკარგავთ, ჩვენ დაგვემუქრება საფრთხე, რომ დავკარგავთ მთელ მწარმოებელ, პურით მდიდარ ჩრდილოეთ კავკასიას. და ამხ. სტალინს ეს კარგად ესმის. როგორც გამოცდილი რევოლუციონერი ის დასკვნამდე მიდის, რომ მის მუშაობას რაიმე აზრი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესძლებს გავლენა იქონიოს სამხედრო სარდლობაზე, რომლის როლი მოცემულ პირობებში გადამწყვეტი ხდება.

„ხაზი ცარიცინის სამხრეთით ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი“,—სწერს იგი ლენინს 7 ივლისის ბარათში, რომელიც გაიგზავნა დამახასიათებელი წარწერით: „მივეჩქარები ფრონტზე, ვწერ მხოლოდ საქმეზე“.

„ვერეკები და ვაგინებ ყველას, ვინც ამას ღირსია. იმედი მაქვს, რომ მალე აღვადგენთ. შეიძლება იყო დარწმუნებული, რომ ჩვენ არ დავინდობთ არავის—არც თავის თავს, არც სხვებს, ხოლო პურს მაინც მოგცემთ. ჩვენს სამხედრო „სპეციალისტებს“ (მეჩექმეებს!) რომ არ ეძინათ და ისინი რომ რამეს აკეთებდენ, ხაზი არ იქნებოდა გაწყვეტილი; და თუ ხაზი აღდგენილი იქნება, ეს არა სამხედროების მეოხებით, არამედ მათგან დამოუკიდებლად“.

და შემდეგ, ცარიცინში მემარცხენე ესერების შესაძლებელი გამოსვლის გამო ლენინის შეკითხვის პასუხად, ის სწერს მოკლედ მაგრამ მტკიცედ და ნათლად:

„რაც შეეხება ისტერიულ ელემენტებს, ჩაეგეთ დარწმუნებული, რომ ჩვენ ხელი არ აგვიკანკალდება, მტრებს მოვეპყრობით ისე, როგორც მტრებს შეეფერის“.

რაც უფრო აკვირდება ამხ. სტალინი სამხედრო აპარატს, მით უფრო რწმუნდება მის სრულ უმწეობაში. რწმუნდება, რომ მის ზოგიერთ ნაწილს პირდაპირ სურვილიც არა აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს გათავხედებულ კონტრრევოლუციას.

და უკვე 1918 წლის 11 ივლისს ამხ. სტალინი დეპეშით ატყობინებს ლენინს:

„საქმე რთულდება იმით, რომ ჩრდილოეთ-კავკასიის ოლქის შტაბი სრულიად შეუგუებელი აღმოჩნდა კონტრრევოლუციასთან ბრძოლის პირობებთან. საქმე არა მარტო იმაშია, რომ ჩვენს „სპეციალისტებს“ ფსიქოლოგიურად არ შესწევთ უნარი გადამწყვეტი ომი კონტრრევოლუციასთან, არამედ აგრეთვე იმაში, რომ ისინი როგორც „შტაბის“ მუშაკები, რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ „ნახაზების შედგენა“ და გადაჯგუფების გეგმების მიცემა აბსოლუტურად გულგრილობას იჩენენ ოპერატიული მოქმედებისადმი... და საერთოდ თავს გრძნობენ გარეშე ადამიანებად, სტუმრებად. სამხედრო კომისრებმა ვერ შესძლეს დანაკლისის შევსება“...

ამხ. სტალინი არ კმაყოფილდება ამ განმანადგურებელი დახასიათებით; ამ ბარათში მას თავისთვის გამოყავს ნამდვილი დასკვნა:

„თავს ნებას ვერ მივცემ ამას გულგრილად ვუყურო, როცა კალინინის ფრონტი (მანამდე სარდალი ჩრდილოეთ-კავკასიაში—შ.) მოწყვეტილია მომარაგების პუნქტს, ხოლო ჩრდილოეთი — პურის რაიონს. მე უნდა გამოვასწორო ეს და მრავალი სხვა ნაკლი ადგილზე, მე ვიღებ მთელ რიგ ზომებს და შემდეგშიაც მივიღებ, არ მოვერიდები საქმის დამღუპველი ჩინოსნების და მეთაურების გადაყენებასაც, მიუხედავად ფორმალური დაბრკოლებებისა, რომელთაც საჭიროების დროს გადავლახავ. ამასთან ცხადია, რომ ვკისრულობ მთელ პასუხისმგებლობას ყველა უმაღლესი დაწესებულების წინაშე“.

მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდება. ამხ. სტალინი ავითარებს კოლოსალურ ენერგიას და სულ მოკლე ხანში სასურსათო საქმის საგანგებო რწმუნებულიდან ხდება ცარიცინის ფრონტის ყველა წითელი ძალების ფაქტიურ ხელმძღვანელად. ამ მდგომარეობას აფორმებენ მოსკოვში, და ამხ. სტალინს ეცნობება ამოცანები: „დაამყაროს წესრიგი, გააერთიანოს რაზმები რეგულიარულ ნაწილებში, დააწესოს სწორი სარდლობა და გააძევოს ყველა ურჩნი“ (რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დეპეშიდან წარწერით: „ეს დეპეშა იგზავნება ლენინთან შეთანხმებით“).

ამ დროისათვის ცარიცინს დაუახლოვდენ უკრაინის რევოლუციური არმიების ნაშთები, რომელნიც გერმანიის ჯარების შემოტევის გამო უკან იხევდენ დონის ველით.

ამხ. სტალინის მეთაურობით შექმნა რევოლუციური სამხედრო საბჭო, რომელიც იწყებს რეგულიარული არმიის ორგანიზაციას. ამხ. სტალინის შეუპოვარი ბუნებამ, მისმა ენერგიამ და ნებისყოფამ გააკეთა ის, რაც სულ გუშინ შეუძლებელი ეჩვენებოდა. სულ მოკლე ხნის განმავლობაში იქმნება დივიზიები, ბრიგადები და ლეგიონები. შტაბი, მომარაგების ორგანოები და მთელი ზურგი ძირფესვიანად იწმინდება კონტრრევოლუციური და მტრული ელემენტებისაგან. საბჭოთა და პარტიული აპარატი უმჯობესდება და ფრონტს უნარიანი ხდება. ამხ. სტალინის გარშემო ერთიანდება ძველი ბოლშევიკების და რევოლუციური მუშების ჯგუფი, და უმწეო შტაბის ნაცვლად სამხრეთში, კონტრრევოლუციური დონის ჰიშკრებთან ჩნდება წითელი ბოლშევიკური ციხე-სიმაგრეები.

ცარიცინი იმ პერიოდში სავსე იყო ყოველი ჯურის კონტრრევოლუციონერებით, დაწყებული მემარჯვენე ესერებით და ტერორისტებით და გათავებული პირწავარდნილი ანარქისტებით. ყველა ეს ვაჟბატონები ამხ. სტალინის გამოჩენამდე და უკრაინიდან რევოლუციური რაზმების ჩამოსვლამდე თითქმის თავისუფლად გრძნობდენ თავს და ცხოვრობდენ უკეთესი დღეების მოლოდინში. ფრონტზე წითელი ძალების რეორგანიზაციის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ზურგის ულმობელად გაწმენდა რკინის ცოცხით. რევოლუციური სამხედრო საბჭომ ამხ. სტალინის მეთაურობით სპეციალურ საგანგებო კომისია დაავალებს მას გაწმინდოს ცარიცინი კონტრრევოლუციისაგან.

მტრის მიერ მოცემული ჩვენება ხშირად საგულისხმოა და საინტერესო. აი როგორ ასურათებს თეთრგვარდიელთა ჟურნალ „დონსკაია ვოლნა“-ს 1919 წლის 3 თებერვლის ნომერში ამ პერიოდს და ამხ. სტალინის როლს პოლკოვნიკი ნოსოვიჩი (არმიის ოპერატიულ სამმართველოს ყოფილი უფროსი), რომელმაც ჩვენ გვიღალატა და, რომელიც კრასნოველთა ბანაკში გადაბარგდა:

„ამ დროისათვის ცარიცინში ატმოსფერა საერთოდ დამძიმდა. ცარიცინის საგანგებო კომისია სრული ტემპით მუშაობდა. ერთი დღეც კი არ გაივლიდა ისე, რომ თითქოს ყველაზე საიმედო და ფარულ ადგილებში არ აღმოეჩინოთ სხვადასხვა შეთქმულობა. ქალაქის ყველა საპატიმროები აივსო...

ბრძოლა ფრონტზე უკიდურესად გამწვავდა...

ყველაფრის მთავარი მამოძრავებელი და მთავარი გამგებელი 20 ივლისიდან აღმოჩნდა სტალინი. უბრალო მოლაპარაკებამ ცენტრთან პირდაპირი მავთულით მხარეში არსებული მართვა-გამგეობის უვარგისობის და საქმისათვის შეუფერებლობის შესახებ გამოიწვია ის, რომ მოსკოვმა პირდაპირი მავთულით გასცა ბრძანება, რომლითაც სტალინი დაყენებულ იქნა მთელი სამხედრო... და სამოქალაქო მართვა-გამგეობის სათავეში“...

ეხება რა შემდეგ თეთრგვარდიელთაგან ზურგის (ჩრდილოეთ-კავკასიის ოლქის შტაბის და მისი დაწესებულებების) გაწმენდას და მათ განადგურებას, ნოსოვიჩი სწერს:

„ამ განადგურების დამახასიათებელი თავისებურობა იყო სტალინის დამოკიდებულება ცენტრიდან მიღებული ხელმძღვანელი დეპეშებისადმი როდესაც ტროცკიმ, რომელიც [illegible] ოლქის იმ მმართველობის ლიკვიდაციამ, რომელიც მან ასეთი ვაი-ვაგლახით მოაწყო, გამოგზავნა დეპეშა იმის შესახებ, რომ საჭიროა დატოვებულ იქნას შტაბი და კომისარიატი წინანდელ პირობებში და მიეცეთ მათ მუშაობის შესაძლებლობა,—სტალინმა დეპეშას გაუკეთა ისტორიული და მრავალმეტყველი წარწერა:

„არ იქნას მხედველობაში მიღებული“.

ამგვარად ეს დეპეშა არ მიიღეს მხედველობაში, ხოლო მთელი საარტილერიო სამმართველო და საშტაბო სამმართველოს ნაწილი კვლავ იმყოფება ბირჟაზე ცარიცინთან“.

ცარიცინის ფიზიონომია მოკლე ვადაში სრულიად გამოიცვალა. ქალაქი, სადაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ ბაღებში მუსიკა გრგვინავდა, სადაც თავმოყრილი ბურჟუაზია თეთრ ოფიცრობასთან ერთად აშკარად და ბრბოებად ლაიხეტებდა ქუჩებში,—ეს ქალაქი ხდება წითელ სამხედრო ბანაკად, სადაც ყველაფერი ემორჩილებოდა უსასტიკეს წესრიგს და სამხედრო დისციპლინას. ზურგის ეს განმტკიცება დაუყოვნებლივ ახდენს დადებით გავლენას ფრონტზე მებრძოლი ჩვენი ლეგიონების განწყობილებაზე, მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობა და წითელარმიელთა მთელი მასა უკვე გრძნობს, რომ მათ მართავს მტკიცე რევოლუციური ხელი, რომელიც აწარმოებს ბრძოლას მუშების და გლეხების ინტერესებისათვის და ულმობელად ხდის ყველას, ვინც ხელს უშლის ამ ბრძოლას.

ამხ. სტალინის ხელმძღვანელობა კაბინეტით არ განისაზღვრება. როდესაც საჭირო წესრიგი დამყარდა, როცა აღდგენილ იქნა რევოლუციური ორგანიზაცია, ის მიემგზავრება ფრონტზე, რომელიც იმ დროისათვის უკვე გაჭიმული იყო 600 კილომეტრზე და უფრო მეტ მანძილზე და უნდა ყოფილიყავი სტალინი და გქონოდა მისი უდიდესი ორგანიზატორული ნიჭი, რომ, ყოველგვარი სამხედრო მომზადების მოულოდნელად (ამხ. სტალინი არასოდეს არ ყოფილა სამხედრო სამსახურში!), რომ ასე კარგად ჩაწვდომოდა სპეციალურ სამხედრო საკითხებს მაშინდელ უაღრესად მძიმე პირობებში.

დღევანდელი დღესავით მახსოვს 1918 წლის აგვისტოს დასაწყისი. კრასნოვის კაზაკთა ნაწილები უტევენ ცარიცინს და ცდილობენ კონცენტრიული დარტყმით ვოლგაში გადაყარონ წითელი ლეგიონები. მრავალი დღის განმავლობაში წითელი ჯარები, მთლიანად დონბასის მუშებისაგან შემდგარი კომუნისტური დივიზიის მეთაურობით, იგერიებენ შესანიშნავად დარაზმულ კაზაკთა ნაწილების განსაკუთრებით ძლიერ იერიშს. ეს იყო ძალღონის მაქსიმალური დაძაბვის დღეები. უნდა გენახათ ამხ. სტალინი ამ დროს. როგორც ყოველთვის, დინჯი, თავის აზრებში გართული. მას პირდაპირ მთელი დღე-ღამობით არ ეძინა და ის თავის ფართო-სამ ინტენსიურ მუშაობას აწარმოებდა საბრძოლო პოზიციებსა და არმიის შტაბს შორის. მდგომარეობა ფრონტზე თითქმის კატასტროფიული ხდებოდა. კრასნოვის ნაწილები, ფიცხალაუროვის, მამონტოვის და სხვების სარდლობით, კარგად მოფიქრებული მანევრით ავიწროებენ ჩვენს ქანცგაწყვეტილ ჯარებს, რომლებთაც უდიდესი ზარალი მიადგათ. მოწინააღმდეგის ფრონტი, რომელიც ნალის ფორმით ვოლგას ებჯინებოდა, დღითი-დღე სულ უფრო და უფრო იკუმშებოდა. ჩვენ არ გვქონდა უკან დასახევი გზები, მაგრამ სტალინი ამაზე არც ზრუნავდა, იგი გამსჭვალული იყო ერთი შეგნებით, მხოლოდ ერთი აზრით, რაც უნდა დაჯდეს გავიმარჯვოთ, გავანადგუროთ მტერი და სტალინის ეს შეუდრეკელი ნებისყოფა იტაცებდა ყველა მის უახლოეს თანამებრძოლებს, და, თითქმის გამოუვალი მდგომარეობის მიუხედავად, არავინ იყო დაეჭვებული გამარჯვებაში.

და ჩვენ გავიმარჯვეთ. განადგურებული მტერი განდევნილ იქნა შორს დონისაკენ.

პერმი

1918 წლის დამლევს შექმნა კატასტროფიული მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე და განსაკუთრებით მესამე არმიის უბანზე, რომელიც იძულებული იყო დაეტოვებინა პერმი.

ამ ამბებმა ცეკას წინაშე დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა კატასტროფის მიზეზების გამოკვლევა და მესამე არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ მოყვანა წესრიგში. ვინ უნდა გაიგზავნოს ამ უძნელესი ამოცანის შესასრულებლად? და ლენინი დეპეშას უგზავნის რევოლუციური სამხედრო საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს:

„არის მთელი რიგი პარტიული ცნობები პერმიდან არმიის კატასტროფიული მდგომარეობის და ლოთობის შესახებ. მე ვფიქრობდი გამეგზავნა სტალინი—ვშიშობ, რომ სმილგა სირბილს გამოიჩენს ლ...სადმი, რომელიც როგორც ამბობენ, აგრეთვე სვამს, და ვერ შესძლებს წესრიგის აღდგენას“.

ცეკას გამოაქვს გადაწყვეტილება:

„დაინიშნოს პარტიულ-საგამომძიებლო კომისია ცეკას წევრების ძერჟინსკის და სტალინის შემადგენლობით პერმის დათმობის და ურალის ფრონტზე მომხდარ უკანასკნელ დამარცხებათა მიზეზების დაწვრილებით გამოსარკვევად. აგრეთვე ყველა იმ გარემოებათა გამოსარკვევად, რომელნიც თან ახლდენ აღნიშნულ მოვლენებს. ცეკა უფლებას აძლევს კომისიას მიიღოს ყველა საჭირო ზომები როგორც პარტიული, ისე საბჭოთა მუშაობის სასწრაფოდ აღსადგენად მესამე და მეოთხე არმიის მთელ რაიონში“ (სვერდლოვის დეპეშა № 00079).

ამხ. სტალინს თავისი „პარტიულ-საგამომძიებლო მუშაობის სიმძიმის მთელი ცენტრი გადააქვს ნამდვილი ზომების მიღებაზე მდგომარეობის აღსადგენად, ფრონტის განსამტკიცებლად და სხვ. 1919 წლის 5 იანვარს ლენინისათვის გაგზავნილ პირველსავე დეპეშაში კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ სტალინი ერთ სიტყვასაც არ ამბობს „კატასტროფის მიზეზებზე“, არამედ ადგილიდან აყენებს საკითხს, თუ რა უნდა გაკეთდეს არმიის გადასარჩენად.

და მხოლოდ 1919 წლის 13 იანვარს ამხ. სტალინი ამხ. ძერჟინსკისთან ერთად გზავნის თავის მოკლე წინასწარ ანგარიშს „კატასტროფის მიზეზებზე“, რომლებიც ძირითადად შემდეგში მდგომარეობენ: არმიის დაღლილობა, მოწინააღმდეგის შეტევის, რეზერვების უქონლობა ამ მომენტისათვის, შტაბის მოწყვეტილობა არმიისაგან, არმიის სარდლობის უვარგისობა, დაუშვებლად დანაშაულებრივი წესი ფრონტის მმართველობისა რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს მხრით, რომელმაც დაბნია ფრონტი თავისი ერთი მეორის საწინააღმდეგო დირექტივებით და წაართვა ფრონტს ყოველგვარი შესაძლებლობა სასწრაფოდ აღმოეჩინა დახმარება მესამე არმიისათვის, ზურგიდან გამოგზავნილი დამხმარე ძალების არასაიმედობა, რაც აიხსნება ჯარის შევსების ძველი წესებით, ზურგის აბსოლუტური სისუსტე, რაც აიხსნება საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების სრული უმწეობით და უუნარობით.

ამასთან ერთად ამხ. სტალინი სახავს და მისთვის ჩვეული სისწრაფით და სიმტკიცით მაშინათვე ატარებს მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს მესამე არმიის ბრძოლის უნარის ასაწევად.

„15 იანვრისათვის,—ვკითხულობთ ჩვენ თავდაცვის საბჭოსათვის მის მიერ გაგზავნილ ანგარიშში,—ფრონტზე გაიგზავნა 1,200 საიმედო კაცისაგან შემდგარი ქვეითთა და ცხენოსანი ნაწილი; ერთი დღის შემდეგ—კავალერიის ორი ესკადრონი. 20-ს გაიგზავნა მესამე ბრიგადის მე-62 ლეგიონი (წინასწარ გულდასმით გაცხრილვის შემდეგ). ამ ნაწილებმა საშუალება მოგვცეს შეგვეჩერებია მოწინააღმდეგის შემოტევა, გარდატეხა მოგვეხდინა მესამე არმიის განწყობილებაში და დაგვეწყო შეტევა პერმზე, რომელიც ჯერ-ჯერობით წარმატებით ვითარდება. არმიის ზურგში სწარმოებს საბჭოთა და პარტიული დაწესებულებების სერიოზული წმენდა. ვიატკაში და სამაზრო ქალაქებში მოწყობილია რევოლუციური კომიტეტები. დაწყებულია და გრძელდება მტკიცე რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა სოფლად. ხდება მთელი პარტიული და საბჭოთა მუშაობის გარდაქმნა ახალ საფუძველზე. გაწმენდილია და გარდაქმნილი სამხედრო კონტროლი. გაწმენდილია და ახალი პარტიული მუშაკებით შევსებული საგუბერნიო საგანგებო კომისია. მოგვარებულია ვიატკის კვანძის განტვირთვა და სხ.“.

ყველა ამ ღონისძიებათა შედეგად არა თუ იქნა შეჩერებული მოწინააღმდეგის შემდგომი წინსვლა, არამედ 1919 წლის იანვარში აღმოსავლეთის ფრონტი შეტევაზე გადავიდა, და ჩვენს მარჯვენა ფლანგზე აღებულ იქნა ურალსკი.

აი როგორ გაიგო და განახორციელა ამხ. სტალინმა თავისი ამოცანა „გამოიკვლიოს კატასტროფის მიზეზები“. გამოიკვლია, ცხადყო ეს მიზეზები და იქვე ადგილზე თავისი ძალებით აღმოფხვრა ისინი და მოახდინა საჭირო გარდატეხა.

(დასასრული იქნება)

---

*) იბეჭდება შემოკლებით.

რედ.

ლიზმის სრული განადგურებით ჩვენ შევძელით დიადი ხ-წლიანი გეგმის 4 წელში წარმატებით შესრულება, რითაც ჩამორჩენილი, უკულტურო ქვეყანა ერთ-ერთ მოწინავე, მძლავრ, ინდუსტრიალურ სახელმწიფოდ ვაქციეთ, წითელი არმია თანამედროვე მოწინავე, მძლავრი ტეხნიკური საშუალებით აღვჭურვეთ და პროლეტარულ სახელმწიფოს თავდაცვის მტკიცე ბაზა შევუქმენით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუშურ-გლეხურ წ.-არმია და წითელი ფლოტი კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის დიდი ბელადის ამხ. სტალინის ლენინური ხელმძღვანელობით კიდევ უფრო შეამჭიდროებს თავს ფოლადისებურ რიგებს, კიდევ უკეთესად დაეუფლება სამხედრო ტეხნიკას, უმაღლესად განავითარებს თავის პოლიტშეგნებასა და უზრუნველყოფს პროლეტარული სახელმწიფოს მშვიდობიან სოციალისტურ განვითარებას.

ჩვენ ომი არ გვსურს და არც გვეხაჭირება, მაგრამ უკეთუ განმანადგურებელი კრიზისებით საბედისწეროთ შერჩეული მსოფლიო იმპერიალიზმი გაბედავს სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ ამხედრებას, მაშინ წ.-არმია და წით. ფლოტი მთელი თავისი ძლევამოსილებით აღიმართება მათ წინააღმდეგ და კაპიტალიზმის უკანასკნელ თავშესაფარებს მსოფლიო რევოლუციის ცეცხლში გახვევს.

„არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ არც ერთ გოჯს ჩვენ მიწას არავის დავუთმობთ" (სტალინი).

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა წით. არმიას და წითელ ფლოტს!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნიზმს!

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯ-რე:—
ფ. მახარაძე.

საქართველოს სახკომსაბჭოსაგან

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ ესალმება წითელი საზღვრების ერთგულ დარაჯს—საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და ფლოტს მათი არსებობის 15 წლისთავის გამო.

ისტორიამ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და ფლოტს დააკისრა დიდი და მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა—საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის დაცვა იმპერიალისტური მტაცებლების ზრახვებისაგან.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალები მიპყრობილია სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაზე, რომელიც დასაყრდენს წარმოადგენს მათი ბრძოლისათვის საკუთარი კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

წლიდან წლობით იზრდება და მტკიცდება სოციალიზმის არმიის საბრძოლო ძლიერება.

პირველი ხუთწლედის წარმატებით დამთავრება წარმოადგენს მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის შედეგს ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის დაცვის ქვეშ, არმიის, რომელიც ფხიზლად იცავს სოციალიზმის მშენებელი დიადი ქვეყნის საზღვრებს.

საქართველოს სახკომსაბჭო დარწმუნებულია, რომ ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის და საბჭოთა კავშირის წითელი არმიის და ფლოტის საბრძოლო ძლიერების შემდგომი განმტკიცების საფუძველზე წარმატებით შესრულდება მეორე ხუთწლედი—უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების ხუთწლედი.

გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას და ფლოტს!

გაუმარჯოს ლენინურ სა/. კ.პ. (ბ) და მის ბელადს ამხ. სტალინს!

საქართველოს სახკომსაბჭო.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისაგან და თბილისის საბჭოსაგან

სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ერთგულ და ფხიზელ ყარაულს, საბჭოთა ხელისუფლების ფოლადის დასაყრდენს და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის სიამაყეს—გმირულ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას მისი დაარსებიდან 15 წლისთავის დღეს — მხურვალე ბოლშევიკური სალამი.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის 15 წლისთავს ჩვენ ვდღესასწაულობთ იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს დიდი ბელადი ამხ. სტალინი, წარმატებით დაამთავრა პირველი ხუთწლედი 4 წელიწადში და უზრუნველჰყო მტკიცე ბაზის შექმნა უკლასო სოციალისტური საზოგადოების ასაგებად.

მსოფლიო იმპერიალიზმი, რომლის საძირკვლები ირყევა სულ უფრო გამწვავებული საყოველთაო კრიზისისაგან და რევოლუციონური პროლეტარიატის და ჩაგრულ კოლონიალურ ხალხთა მძლავრი შეტევისაგან, გამოსავალს ეძებს იმპერიალისტურ ომში და პირველ რიგში ინტერვენციაში ძლევამოსილი სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ.

ჩვენ მშვიდობიანობის მომხრე ვართ, ჩვენი პოლიტიკა — მშვიდობიანობის პოლიტიკაა, მაგრამ ჩვენ ყოველთვის მზადა ვართ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

„არც ერთი გოჯი სხვისი მიწისა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ ჩვენს მიწას, არც ერთ მტკაველს ჩვენი მიწისას არავის დავუთმობთ".

თავისი წითელი არმიის—მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის არმიის—მზრუნველური დაცვით ქალაქ თბილისის პროლეტარიატი და ყველა მშრომელები კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესასრულებლად და მოიპოვებენ ახალ გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, რისთვისაც იხელმძღვანელებენ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და ც.ს. კომისიის იანვრის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებებით.

ქ. თბილისის პროლეტარიატი და ყველა მშრომელები პირობას აძლევენ საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის და წითელი არმიის ძლიერების ყოველმხრივი განმტკიცებით მზად იქნებიან საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან ერთად დაუნდობლად გაანადგურონ ყველა ის, ვინც ხელს აღმართავს მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოზე.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის შეიარაღებულ რაზმს წითელ არმიას 15 წლისთავს!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელ ბელადს ამხ. სტალინს!

გაუმარჯოს წითელი არმიის ბელადს ამხ. ვოროშილოვს!

საქ კ.პ. (ბ) თბ. კომიტეტის მდივანი:
პ. მელაძე.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე: —
გ მაჩაიძე.

წითელი არმიის მიღწევები 15 წლის თავზე

დღეს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მშრომელები დღესასწაულობენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის 15 წლის თავს,—პროლეტარიატის დიქტატურის არმიის წლის თავს,—არმიის, რომელიც ოქტომბრის მონაპოვართა შეიარაღებულ დასაყრდენს წარმოადგენს. ამ წლისთავს არმია ხვდება ისეთ მომენტში, როდესაც მუშათა კლასმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით დაამთავრა თავისი პირველი ხუთწლედი და საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს მიაღწია.

ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ ჩვენ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა გადააქცია მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელიც დამოკიდებული აღარ არის კაპიტალისტური მსოფლიოს კაპრიზებისაგან, წითელი არმია კი შეაიარაღა ახალი საბრძოლო ტეხნიკით. წითელი არმია, რომელიც კლასობრივად დარაზმულია ლენინური პარტიის გარშემო, გამდიდრებულია თანამედროვე ტეხნიკის მძლავრი საშუალებებით, პოლიტიკურად გამობრძმედილია, შეხებულია ქარხნების, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების დამკვრელებთან და რომელიც სავსებოთ აღზრდილია,—ეს წითელი არმია გრანიტის კედლად ხდგას საბჭოთა ქვეყნის სადარაჯოზე.

წითელი არმია წარმოიშვა სამოქალაქო ომის ცეცხლში. წითელი გვარდია—წითელი არმიის წინაპარი—მედგრად იბრძოდა გენერალ კრასნოვის წინააღმდეგ პულკოვოსთან, ლენინგრადთან, ბელორუსიაში პოლონელ ლეგიონერების წინააღმდეგ, უკრაინაში პეტლიურის წინააღმდეგ, საზრეზე კალედინის წინააღმდეგ, აღმოსავლეთში დუტოვის წინააღმდეგ. აქ, მომავალი არმიის ამ ჩანასახში, იქმნებოდა წითელი არმიის მეთაურების და კომისრების კადრები.

წითელი გვარდიის მცირერიცხოვან რაზმებს არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწიათ კონტრრევოლუციონურ ძალებისათვის, რომლებიც თანდათან იზრდებოდნენ. ბრძოლა მწვავდებოდა, ჩნდებოდა კონტრრევოლუციონური ფრონტები ყველა განაპირა კუთხეებში. ბურჟუაზია არ ზოგავდა ძალებს, რომ დაემხო საბჭოთა ხელისუფლება, მოესპო ოქტომბრის მონაპოვარნი. მხოლოდ დაუზოგავ ბრძოლას გარემორტყმულ მტრებთან შეეძლო უზრუნველეყო მიწა გლეხებისათვის, ფაბრიკები და ქარხნები მუშებისათვის. მომწიფდა აუცილებლობა შექმნილიყო ახალი, შემჭიდროებული, დისციპლინიანი არმია.

1918 წლის 15 იანვარს სახკომსაბჭომ მიიღო და 23 თებერვალს გამოაქვეყნა დეკრეტი ახალი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ორგანიზაციის შესახებ. ეს დღე გადაიქცა წითელი არმიის დაბადების დღედ. არმიის შექმნისაკენ მიმართული მთელი მუშაობა მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლების პირობებში. მაგრამ წითელი არმიის ორგანიზატორმა და ბელადმა — ბოლშევიკების მტკიცე, შემჭიდროებულმა პარტიამ—გადალახა ყველა დაბრკოლებები და ქვეყანა მიიყვანა გამარჯვებამდე ყველა მრავალრიცხოვან ფრონტზე. წითელმა არმიამ ბოლო მოუღო გეტმანოვშჩინას და პეტლიუროვშჩინას უკრაინაში, დაამარცხა კოლჩაკი ციმბირში, უკუაგდო იუდენიჩი პეტროგრადიდან, დენიკინი ორიოლიდან, უკრაინიდან და კავკასიიდან, მილერი არხანგელსკიდან და, ბოლოს, ზღვაში გადაისროლა კონტრრევოლუციონურ არმიების ნაშთები ვრანგელის მეთაურობით.

1921 წ. ქვეყანას უკვე აღარ მოელოდა უშუალო სამხ. საშიშროება. არმიას შეეძლო მშვიდობიან პირობებში ეწარმოებინა თავისი რიგების გაუმჯობესება და აემაღლებინა ტეხნიკური შეარაღება. სასწრაფოდ შედგენილი წითელი არმია, მშიერი და ტიტველი წითელი არმია ამარცხებდა გენერლებს და ევროპიული ქვეყნების არმიებს. ჩვენ დავამარცხეთ ყველა თეთრი გენერლები, მთელი შეარაღებული კონტრრევოლუცია კრასნოვიდან ვრანგელამდე, ჩეხების აჯანყებიდან ციმბირში იაპონელთა დესანტამდე ვლადივოსტოკში, ინგლისის ინტერვენციამდე ჩრდილოეთში და საფრანგეთის ინტერვენციამდე სამხრეთში. რაშია ამ გამარჯვების საიდუმლოება? საიდან ღებულობდა წითელი არმია ძალას დაემარცხებინა ძლიერი და გამოცდილი მტერი.

„მხოლოდ იმის გამო, რომ პარტიაში მტკიცე დისციპლინა იყო და მისი ავტორიტეტი აერთიანებდა ყველა უწყებებს და დაწესებულებებს და რომლის ლოზუნგითაც მისცა ლეკმა ათეული ათასი და საბოლოო ანგარიშში მილიონი კაცი არმიას — მხოლოდ ამიტომ შეიძლებოდა მომხდარიყო ის სასწაული, რომელიც მოხდა". ასე უპასუხებდა ამ საკითხზე ლენინი თავის მოხსენებაში მეცხრე პარტიულ ყრილობაზე. ჩვენი არნახული წარმატებები სამოქალაქო ომის პერიოდში გამოწვეული იყო იმით, რომ წითელი არმია იყო გამარჯვებული მუშების და გლეხების არმია, რომ მას ჰყავდა მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობა, რომ იმ დიადმა საქმემ, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით, გამოიწვია მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის ზრდა და მათი ჩვენდამი დახმარება.

რაშია წითელი არმიის ძალა და განსხვავება კაპიტალისტური ქვეყნების არმიისაგან?

წითელი არმია არის დარაჯი პროლეტარული ქვეყნისა, რომელიც სოციალიზმს აშენებს, ის არ მისდევს არავითარ იმპერიალისტურ მიზნებს. ამაშია მისი ძალა და განსხვავება ბურჟუაზიულ არმიებისაგან. ასეთი არმია არ ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენი არმია არის „ხალხთა ძმობის არმია, დაჩაგრული ხალხთა განთავისუფლების არმია, ჩვენი ქვეყნის ხალხთა თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაცვის არმია" (სტალინი). ის მთლიან ოჯახს შეადგენს მუშათა კლასთან და მშრომელ გლეხებთან ერთად. წითელი არმიისათვის უცხოა შოვინიზმი და სხვისი ტერიტორიის დაპყრობის მისწრაფება. ის პატივს სცემს სხვა ხალხებს, უყვარს და პატივს სცემს ყველა ქვეყნების მუშებს. ის საერთაშორისო პროლეტარიატის არმიაა, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის არმიაა. ის იცავს საბჭოთა კავშირს, როგორც მთელი ქვეყნის პროლეტარიატის სამშობლოს, დარაჯად უდგას საბჭ. კავშირის მშვიდობიან პოლიტიკას,—საბჭოთა კავშირის, რომელიც აწარმოებს თანმიმდევარ ბრძოლას მშვიდობიანობისათვის და არ ეგება იმპერიალისტების ანკესზე, რომელთაც სურთ მისი ომში ჩაბმა.

პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ განამტკიცა წითელი არმიის ეს პოზიციები. საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობა აყვანილია სათანადო სიმაღლეზე. წითელი არმია თავისი ტეხნიკური შეიარაღებით არ ჩამოუვარდება არც ერთ თანამედროვე კაპიტალისტ. არმიას. მას აქვს ყველა აუცილებელი სისტემების თანამედროვე ტყვიამფრქვევები, ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ თვითგასტენ თოფებით, ტყვიამფრქვევებს და ავტომატური რევოლვერების წარმოებით. გადამწყვეტი შედეგებია მიღწეული ავტომატური შეიარაღების დარგში. ძველი არტილერია გამახლებულია. გაძლიერებულია მისი შორსსროლელობა, ის არ ჩამოუვარდება არც ერთ ევროპიულ ნიმუშს. შექმნილია მძიმე არტილერიის საკუთარი სისტემები, მოწესრიგებულია ზენიტური და წვრილ ყალიბიანი არტილერიის წარმოება.

წესრიგში მოყვანილია წითელი არმიის ცხენოსნების მთელი მარაგი. ტეხნიკური შეიარაღების უდიდესი გამარჯვებაა ტანკების პრობლემების გადაწყვეტა. ძალთა უდიდესი დაძაბვის შედეგად ჩვენ მოვაწესრიგეთ თანამედროვე ტანკების წარმოება. ამავე დროს შექმნილია საავიაციო მრეწველობა. მოწყობილია საავიაციო ძრავების თანამედროვე ნიმუშების წარმოება. ჩვენი ინჟინერ-კონსტრუქტორები მუშაობენ ჩვენი თვითმფრინავების და ძრავების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებაზე. განმტკიცდა და გაძლიერდა ჩვენი საზღვაო ფლოტი. შეკეთებულია ყველა გემები.

პარტიის საბრძოლო ლოზუნგებს, რომლებიც წამოაყენა ამხ. სტალინმა: „ტეხნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში სწყვეტს ყველაფერს", „ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტეხნიკას"—ცენტრალური ადგილი უჭირავს წითელი არმიის საბრძოლო პოლიტიკურ მომზადებაში. წითელი არმია ეუფლებოდა თვითმფრინავს, ტანკს, ძრავს, აჰყრობდა თანამედროვე რთული ბრძოლის ახალ ფორმებს. წითელი არმია იზრდებოდა პოლიტიკურად, რკინის დისციპლინა და ორგანიზაციულობა შეჰქონდა თავის რიგებში, მტკიცდებოდა და იბრძმედებოდა როგორც მძლავრი იარაღი პროლეტარული დიქტატურისა. პარტიის ხელმძღვანელი როლი წითელ არმიაში კიდევ უფრო გაიზარდა, გამრავლდა პარტიული რიგები, რომლებიც ამჟამად მთელი პირადი შემადგენლობის 59,4 პროცენტს შეადგენენ.

წითელი არმიის პოლიტიკურმა ორგანოებმა აღზარდა სოციალიზმის მშენებლობის სეული ათასი აქტიური მებრძოლი, რომლებიც ამჟამად პირველ რიგებში ხდებიან ფაბრიკა-ქარხნებში, საბჭოთა და კოლექტ. მეურნეობებში. ასეთია წითელი არმიის მიღწევები 15 წლისთავისათვის.

შელოკოვი.
ბუდიონის არმიის ყოფილი შტაბის უფროსი.

ბუქარესტის რკინისგზელების გაფიცვის შემდეგ

ჟანდარმერიის თარეში გრძელდება

ვენა, 20 თებერვალი. ბუქარესტიდან მიღებული ოფიციალური ცნობით, საბარიკადო ბრძოლის მონაწილეთაგან დაპატიმრებული იქნა 1.500 მუშა, მათ შორის 730 გადაეცა სამხედრო სასამართლოს, ხოლო დანარჩენები დასტოვეს საპატიმროში. ბუქარესტიდანვე მიღებული ცნობით, სატახტო ქალაქის ქუჩებში დადიან სამხედრო და ჟანდარმერიის რაზმები, რომლებიც განუწყვეტლივ აწყობენ მუშებით დასახლებულ რაიონებში ჩხრეკას და თავდასხმებს.

პოლიციისა და ჟანდარმერიის შეტევა რევოლუციონური მუშების წინააღმდეგ გრძელდება ყველა სამრეწველო ცენტრებში. ყველა იმ რკინისგზელებს, რომლებიც არ არიან მიწერილნი ბუქარესტზე, ასახლებენ სატახტო ქალაქიდან. რკინისგზელები დაუმორჩილეს სასტიკ სამხედრო კონტროლს.

იმ მუშათა რიცხვმა, რომლებიც ეჭვით არიან დაპატიმრებულნი, თითქოს ისინი ეკუთვნიან კომპარტიას, მიაღწია რამდენიმე ათასს. მუშაობა ბუქარესტის რკინის გზის სახელოსნოებში შეწყვეტილია, საბარიკადო ბრძოლების დროს შენობების საგრძნობლად დაზიანების და აგრეთვე სახელოსნოების მიმდინარე გასამხედროების გამო სახელოსნოები დაკეტილია. „კურენტულ"-ის გამოცემით, რკინის გზის სახელოსნოებში ჰაერიდან ტყვიების დაშენის გამო დანგრეული სახლების შთაბეჭდილებას სტოვებენ. ორი საფაბრიკო კორპუსი მთლიანად დამწვარია, თითქმის ყველა შენობები ტყვიამფრქვევებიდან ტყვიების დაშენის გამო დაცხრილული აღმოჩნდა. სახელოსნოების ახლოს მდებარე ტერიტორია ერთი კილომეტრის მანძილზე დაფარულია ნამსხვრევებით, ფერფლით, ქვით და სხვ. (ადს).

301 მილიონი დოლარი შეიარაღებისათვის

ვაშინგტონი, 20 თებერვალი. წარმომადგენლობათა პალატის კომისიამ მოიწონა სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში 301 მილიონი დოლარის გადიდება. აღნიშნული თანხიდან 53 მილიონი დოლარი გადადებულია სამხედრო-საზღვაო გემების ასაგებად და აგრეთვე რემონტისათვის. ამ თანხით გათვალისწინებულია 9 ჯავშნოსანის, 3 წყალქვეშა ნავის 1, თვითმფრინავების გადამტანი გემის და 8 ნაღმოსნის აგება. კომისიამ უარყო ჰუვერის წინადადება სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობის შემცირების შესახებ (ადს).

ა/წ. თებერვლის 24 ს საღამოს 7 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში
მოწვეულია ქ. თბილისის და რაიონების მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების
საბჭოების გაერთიანებული საზეიმო
პლენუმი
პარტიული, პროფესიონალური, ა. ლ. კ. კ. აქტივთან და წითელი არმიის ნაწილებთან ერთად საქართველოს გასაბჭოების 12 წლისა და წითელი არმიის 15 წლის თავის აღსანიშნავად

პლენუმზე შედიან თათბირით მანდატებით: ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საკონტროლო კომისიის, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ.-ის, ა/კ. და საქ. ცაკ-ის, ს. კ. პ. (ბ) ტ. კ.-ის, ა. ლ. კ. ა. კ. სამხარეო კომიტეტის, საქ. ც. კ. და ტ. კ.-ის ა. კ. და საქ. პროფსაბჭოები პლენუმის და თბილისის და რაისაბჭოების წევრები; დანარჩენები კი მიიღებიან საკუთრივ მოსაწვევი ბარათებით, რომლებსაც მიიღებენ სათანადო რაიონული საბჭოდან

2—1 ნ. 204 თბ. საბჭოს პრეზიდიუმი.

რეიხსტაგის არჩევნების წინ

შეტევა კომუნისტური პრესის წინააღმდეგ გერმანიაში

ბერლინი, 20 თებერვალი. პოლიციამ აკრძალა მთელი რიგი კომუნისტური გაზეთები, რომლებიც პროვინციაში გამოდიოდა.

მაგდებურგში 10 დღით აკრძალეს ყოველდღიური კომუნისტური გაზეთი „დი ტრიბუნე" წერილის მოთავსებისათვის, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ნაციონალ-სოციალისტების მოიერიშეები გამოყენებული იქნებიან, როგორც პოლიციის დამხმარენი.

10 დღით აკრძალეს აგრეთვე ბრესლავლში კომუნისტური გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგ"-ი „მთავრობის შეურაცყოფისათვის".

ყოველკვირეული კომუნისტური გაზეთი „როტე პრესსე ფოლკსბოტე" აკრძალულია 1-ლ მარტამდე. ესე იგი ერთი კვირით, წერილის გამოქვეყნებისათვის, რომელიც გენერალური გაფიცვისაკენ მოუწოდებდა (ადს).

ფაშისტების დემონსტრაცია პოლიციის მფარველობით

ბერლინი, 20 თებერვალი. გუშინ დილადანვე პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა ალყა შემოარტყა ბიულოვის მოედანს. სადაც იმყოფებოდა გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა. ახლო მდებარე სახლების სახურავებზე მოწყობილი იყო პოლიციის საგუშაგოები. ყოველგვარი მოძრაობა მოედანზე შეწყდა. ცენტრალური კომიტეტის შენობაში მოახდინეს ჩხრეკა. რვა კაცი სახლის მცველთაგან, რომლებიც შენობაში იმყოფებოდნენ დააპატიმრეს. ყველაფერი ეს მოხდა იმ გზით, რომ ნაციონალ-სოციალისტების მოიერიშეებისათვის მიეცათ შესაძლებლობა ჩატარებინათ სააგიტაციო კონცერტი მოედნის მახლობლად მდებარე რაიონში, რომელიც მთლიანად რევოლუციონური მუშებით არის დასახლებული. აღნიშნულ დემონსტრაციასთან დაკავშირებით პოლიციამ ნება არ დართო აგრეთვე ბიულოვის მოედანზე არსებული ფოლკსბიუნეს თეატრს მოეწყო გუშინ დანიშნული ეგრედ წოდებული სოციალისტური „კულტურის კავშირის" (სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით არსებული ორგანიზაცია) კრება, რომელზედაც უნდა გამოსულიყო პრუსიის ყოფილი განათლების მინისტრი გრიმე და რეფორმისტული პროფკავშირის ლიდერი გრასმანი. პოლიციელები, რომლებიც მოედნისაკენ მიისწრაფოდნენ თეატრში, არ უშვებდნენ კრების მონაწილეებს, ხოლო აღნიშნული კრება კიდევ ნებადართული იყო შაბათს (ადს).

ლიტერატურა

საბჭოთა საქართველოს 12 წლისთავისათვის

1. სტალინი—მოხსენება იანვრის პლენუმზე „ხუთწლედის შედეგების შესახებ".
2. სტალინი—სიტყვა „სოფლად მუშაობის შესახებ".
3. მოლოტოვი—მოხსენება იანვრის პლენუმზე.
4. იანვრის პლენუმის რეზოლუცია.
5. ბერია—მოხსენება საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და ც.ს.კ. 1932წ. ივნისის პლენუმზე.
6. ყურულაშვილი—მოხსენება საქ. კ.პ. (ბ) ცკ-ის და ც.ს.კ. 1932 წლის ივნისის პლენუმზე.
7. რეზოლუცია ამხ. ბერიას და ყურულაშვილის მოხსენებათა გარშემო.
8. ბერია—მოხსენება ბაქოს პარტაქტივის საერთო საქალაქო კრებაზე 1933 წ. 26 იანვარს.
9. მეერზონი—მოხსენება თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის კრებაზე 1933 წლის 26 იანვარს.
10. მახარაძე—საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში.
11. მასალები მომხსენებლებისათვის (იხ. „კომუნისტი" 18 თებ. 33 წ. №41 (3567).

ლიტერატურა

წითელი არმიის 15 წლის თავისათვის

1. ლენინი—თხზულებათა კრებული, გამოცემა 2 და 3, ტ. მე-17 სოციალიზმი და ომი, ტ. მე-19 „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", ტომი მე-27 ომთან ბრძოლის საკითხებისათვის.
2. იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ კომინტერნის მე-6 კონგრესის თეზისები და რეზოლუციები, გამოცემა მე-3.
3. კ.ი. ა.-კ. მე-11 პლენუმის თეზისები და რეზოლუციები, სახ. გამ.—1931 წ.
4. ლენინი—ტ. მე-7 რევოლუციონური არმია და რევოლუციონური მთავრობა.
5. სტალინი—გზებზე ოქტომბრისაკენ. წინასიტყვაობა, გამოც. 2.
6. კაპიტალიზმის კრიზისი, ახალი ომებისა და ინტერვენციის საფრთხე, პარტგამომც. 1932 წ.
7. როგორ ამზადებენ სოციალ-ფაშისტები ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პარტგამომც. 1932 წ.
8. კ.ი. ა.-კ. მე-12 პლენუმის გადაწყვეტილებები. პროპაგანდისტის ბლოკნოტი № 18, 1932 წ. გვ. 33—42.
9. მანუილსკი—ს.ს.რ.კ. და მსოფლიო პროლეტარიატი — პარტგამომცემლობა 1932 წ.
10. მანუილსკი — კაპიტალისტური სტაბილიზაციის დასასრულის შესახებ. პარტგამომცემლობა 1932 წ.
11. კ. ვოროშილოვი—სტალინი და წითელი არმია.

ლენინის ექვს ტომეულის მეორე ტომის ბეჭდვის გარშემო

24 თებერვალს დღის 12 საათზე ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში შესდგება სხდომა ლენინის „ექვს ტომეულის" მეორე ტომის ბეჭდვის შესახებ, სხდომას დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ქ. ორაგველიძე (ზეკა), ნ. კიკნაძე („კომუნისტი"), ბიბინეიშვილი, ე. ტოროტაძე (სახელგამი), პ. შარია, ზ. წივწივაძე, კაიტაჯიანი, გოგოლაშვილი, ოხეფაშვილი („კომუნისტი"-ს სტამბა), პ. საყვარელიძე, ბ. ბარათაშვილი და შონია (სახელგამი).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

თბილისის ხელმძღვანელ პარტაქტივის 8, 14, 23 სემინარი პოლიტეკონომიაში და ისტმატ-დიამატში

მეცადინეობის მორიგი დღე: 23 თებერვალი საღ. 7 საათ.

1-ლი სემინარი: (ამხ. მელაძის კაბინეტი) ამხ. ამხ. ნალბანდოვი (უფროსი), ახალაძე, დმიტრიევა, სიხარულიძე, დარსაძე, გრიცენკო, კალანდაძე, კარნიცკი, ბუნიატოვა, მამულაშვილი, ლისენკო, ხარაბაძე, ხარჯიხოვი, ჩერქეზია, რეიზნერი, კირაკოზოვი, ხაჩიკიანი, ვართანიანი, გოგიჯანოვი, მელიქოვი, კიკნაძე, რურუა, ქოჩლაძე, ნამურაძე, გორდელაძე, ვარდენგი, ოგანიანი, შატბერაშვილი, ვალოკია, ავეტისოვი, კირკიბალოვი, მურადოვი, მ. ჩერქეზიშვილი, ერქომაიშვილი, ჯავახაძე. დასკვნა შესავალი თემისა „პოლიტეკონომიის საგანი და მეთოდი" და ამხ. ქ. ორაგველიძის შესავალი ლექცია თემისათვის „საქონელი".

მე-2 სემინარი: (ამხ. წითლიძის კაბინეტი) ამხ. ამხ. კიდაიშ (უფროსი), აფციაური, ბაბაიანი, პოლიევი, მდივანი, მელაძე, მინდიაძე, ჩხარტიშვილი, არუთინოვი, თვალჭრელიძე, დოლიძე, მაჭავარიანი, ხარჭიშოვი, წიფურია, გინენკო, შელია, თარხანოვი, ცხაკაია, ტრდატიანი, მღივნიშვილი, ს. არუთინოვი.—ამხ. შარიას მოხსენება „მატერიალიზმი და იდეალიზმი" ფილოსოფიის კურსით.

—:—

23 თებერვალს საღამოს 7 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ცკ-ის კულტპროპაგანდის განყოფილებაში (ოთახი № 29) ამხ. ბარამიძესთან შესდგება თათბირი საგაზაფხულო თესვის კამპანიის კულტ-მომსახურების მთლიან გეგმის შედგენის და მისი ფინანსიური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ.

შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა და აუცილებელი. საქ. პროფსაბჭო—ამხ. ჩაჩავა და კანდელაკი, ა.კ. ცეკა—ამხ. მგელაძე. მიწსახკომი—ამხ. გაბიძაშვილი, სახელგამი—პაპავაშვილი, განათლების კომის.—ამხ. კოლოტი, ჯანსახკომიდან, „საქ. ჩაი"-დან, ტრაქტორცენტრიდან, სახბ. მეურნ. ტრესტიდან, საზ. „სოცკულტურა"-დან, კავშირგამომცემლობიდან — გვიშიანი, საქ. მეფუტკრეობიდან და საქ. კინომრეწველობიდან — მასიური განყ. გამგეები. წარმომადგენლებმა თან უნდა იქონიონ საგაზ. თესვის კამპანიის გეგმები.

28 თებერვალს ნაშუადღევს 3 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ცკ-ის კულტპროპაგანდის განყოფილებაში შესდგება სტამბების გამგეთა თათბირი. შემდეგი დღის წესრიგით:

1) სახელგამის შეკვეთების განაწილება,
2) პერიოდულ გამოცემათა განაწილება.

თათბირზე აუცილებლად უნდა დაესწრონ სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს, „კომუნისტი"-ს, პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბის, პოლიგრაფსკოლის სტამბის, სახკომსაბჭოს სტამბის, ცეკავშირის სტამბის გამგეები, ამხ. პაატაშვილი (პოლიგრაფტრესტი), ტოროტაძე (სახელგამი), ჩხარტიშვილი (მეშდვეთი საქმის კომიტეტი).

სტამბების გამგეებმა უნდა წარმოადგინონ ცნობები თუ რა ჟურნალები და გაზეთები იბეჭდება მათთან.

დღეს, საღამოს 7 საათზე საქ. კ.პ. (ბ) თბ. კომიტეტში შესდგება პარტთათბირი შემდეგ საკითხზე „სამრეწველო პარტორგანიზაციების დახმარების ორგანიზაცია სოფლისათვის დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის მომართვასთან დაკავშირებით".

თათბირზე მოწვეული არიან თბ. ორგანიზაციის რაიკომების მდივნები, საორგ. განყ. გამგეები, აგიტმასობრივი განყოფილებათა გამგეები, ამხ. ამხ. არუთინოვი (ცეკა), ამატუნი (სამხარეო კომიტეტი) ბოქრიძე (ცეკა), მათიკაშვილი და გვარამია (მიწსახკომი), ურუშაძე (ტრაქტორცენტრი), მაჩაიძე, ატოევი, ბეჟანიშვილი (თბ. საბჭო), სიხარულიძე (პროფსაბჭო), რამიში („ტიფლ. რაბ."), კიკნაძე („კომუნისტი"), ტუღუშიშვილი, რუხაძე (კომკავშირის თბ. კომ.), გრიგორიანი („ზარია ვოსტოკა"), დათიაძე, მაჭავარიანი, ჯანგვერდაშვილი, სარაული (სტალინის სახელობის შემკეთებელი სახელოსნო), ბარსკი, გელაშვილი (კალინინის სახ. ქარხანა), სიტნიკოვი, ბუკანიევი („26"-ის ქარხანა), გ. კალანდაძე (სადგ. მეურნეობა), რუხაძე (აბრეშუმის საქსოვი), ლეჟავაშვილი, კლეიცოვი (ორჯონიკიძის სახ. ქარხანა), შ. ორჯონიკიძე (ფეხსაცმელის ფაბრიკა № 2), სარინი (მკერავი № 1), საკოვი (მკერავი № 2) გულაშვილი („ზარია ვოსტოკა"), დოინეიშვილი (ავეჯის ფაბრიკა), თითბერიძე, კონტრიძე (სახკინმრეწვი), ბიაზოვი (ნავთმრეწვ. მანქ.), ესოვი, ლოლინი.

—:—

დღეს, საღამოს 7 საათზე საქ. კ.პ. (ბ) თბ. კომიტეტში ამხ. მელაძესთან (ოთახი № 6) შესდგება თათბირი შემდეგ საკითხზე „კარლ მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავი". თათბირზე აუცილებლად უნდა დაესწრონ ქვემოთაღნიშნული ინსტიტუტების დირექტორები და პარტორგანიზაციების მდივნები: უმაღლესი სას.-სამ. კომ. სკოლა, საქართ. და ამიერ-კავკ. სახ. უნივერსიტეტი, საამშენებლო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, სამთო-ქიმიური, ზოოტეხნიკური, სასოფლო-სამ., სატყეო-ტეხნიკური, სამედიცინო, კონსერვატორია და ამ. მარქ. კულტ. ინსტიტუტი.

—:—

დღეს, საღამოს 7 საათზე ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება რაიონის პარტუჯრედების კულტპროპორგანიზატორების და პროპაგანდისტების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება: პარტსწავლების ხარისხის შემოწმებისა და ჩატარების ორგანიზაცია.

დასწრება სავალდებულოა.

—:—

დღეს, ნაშუადღევს 3 საათზე საქ. კ.პ. (ბ) თბ. კომიტეტში ამხ. მელაძესთან (ოთახი № 6) შესდგება მ.ტ.მ. ს-ის („ვარნიტსო") კომფრაქციის სხდომა, რომელზედაც გამოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: ბ. ჰაჯინაძე (ამიერ-კავკ. მძიმე მრეწ. კომისარიატი), ი. ვაშაყმაძე (განსახკომი), შ. გაბრიჭიძე (საქ. მძიმე მრეწვ. კომ.), ნ. ძიძიგური (საქ. სას.-სამ. კომ. სკოლა), კ. მარჯანიშვილი (ენერგეტ. ინსტიტუტი), ი. მარდალეიშვილი (ავტოტრანსი), მ. ტოროშელიძე (საქ. სავეგმო კომისია), ს. ხუნდაძე, პ. შარია, პ. მუმლაკი (ვეტქალ. ინსტ.), ლ. ვარდოსანიძე (თბ. კომ.)

ქრონიკა

ამხ. ფ. მახარაძე—ა. კ. ცაკის მორიგი თავმჯდომარე

საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე შეუდგა ა. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას.

ახალი დანიშვნები

საქართველოს ც. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ამხ. ზახარიევი დანიშნულია სსრკ საბჭოთა მეურნეობების სახკომისარიატის რწმუნებულად საქართველოში, ხოლო ამხ. ჯანჯღავა დანიშნულია მის თანაშემწედ.

მოზარდ მაყურებელთა სახ. თეატრის გასტროლები ქ. სტალინისში

თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი გაემგზავრა ქ. სტალინისში გასტროლების მოსაწყობათ. თეატრი სტალინისში გამართავს 4 წარმოდგენას. დადგმული იქნება ნ. შესტაკოვის „შორეული გზით" და ს. მთვარაძის—„შირაქის გულში".

გეოლოგიურ - საკვლევო ინსტიტუტის საჯარო სხდომა

დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება საქ. გეოლოგიურ-საკვლევო ინსტიტუტის საჯარო სხდომა, რომელზედაც ალ. ჯანელიძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე:—„ზემო რაჭის გეოლოგია".

ოპერა
23 თებ. 6 ს. 7 წარ.
პრემიერა
აიდა
24 თებერვალს
საზეიმო სხდომა
წით. არმიის 15 წ. და საქ. გასაბჭოების 12 წ. თავის აღსანიშნავად
25 თებ. 18 ს. 7 წ.
ჰოფმანის ზღაპრები
აბონენტები, რომლებსაც გადახდილი არ ექნებათ მეშვიდე გადასახდელი, წარმოდგენაზე არ დაიშვებიან. ა. 202

სახელმწიფო დრამა მარჯანიშვილის თეატრი
23 თებერვალი 9 ს. 6 წარ.
მზის დაბნელება საქართ.
24 თებერვალი 3 ს. 6 წარ
ოტელო
25 თებ. წით. არმ. 15 წლ. თავის და საქ. გასაბჭ. 12 წლის თავის აღსანიშნავად
როგორ
აბონემენტი ... 10 მარტამდე. პირველად ... — ჯონ სტრიტ.
203

კინო-თეატრი ოქტომბერი
დღეიდან 23 თებერვლიდან
ამიერ-ფილმის ნაწარმოები
გრანდიოზული ისტორიულ-რევოლუციონური ფილმი
26 კომისარი
ავტორი-რეჟისორი — ნ. შენგელაია
ოპერატორი — ვ. შნეიდერი
მთავარ როლებში:
ხაირი ემ რ. ზადე, მარლანოვი, ვერიკო ანჯაფარიძე, სავჩენკო, რიაზანოვი, კულიკოვი მელიქოვი, ანდრონიკაშვილი, გორსკოი და სხ.
პროგ. გარეშე სახკომის დროშის ქვეშ
სეანსების დასაწყისი: საღ. 6, 8—15, 10—30
ნ. 205

რუსთაველის თეატრი
სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით
სეზონი 1932—33 წ
23, 24 და 25 თებერვალი
საბჭოთა საქართველოს 12 წლის თავის და წითელი არმიის 15 წლის თავის აღსანიშნავად
ანზორი
სალარო ღიაა 11—2, 6—9 ... ნ. 196 5 3

სახკინმრეწვის კინო-თეატრები
ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30 — შემხვედრი
დამკვრელი 6, 7-30, 10-30 — ზღვის ტყვეები
კინო დარბაზი 5 30, 7, 8 30, 10, 11 30 — ტარიელ მკლავაძე
რ. ლიუქსემბურგ. სახ. 6, 7 30, 9, 10 30 — ეჟვიანობა
სპარტაკი 6-30, 8, 9 30, 11 — სახახლე და ციხე
დამკვრელთა 7-30, 9 — მეორე შეხვედრა
ოქტომბერი (დღისით) 12 — 26 კომისარი
რ. ლიუქსემბურგ. სახ. (დღისით) 12 ს — ახალგაზრდობა იმარჯვებს
საბავშვო კინო — წითელი არმია

ექიმი
ი. ჭეიშვილი
ვენერიული და კანის ავადმყოფობებს დილ. 8—9 ს. და საღ. 6—8 ს.
მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყ. დიკასტერი.)
13—1 298

ექიმი
დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი, მოწმლილობა
დღის და საღამოს ... „ბრონქო-ეზოფაგოსკოპია" კონქების ქ. № 9 ... მიღება საღამოს 6—7 საათამდე
ტელ. 5—94 5—

ექიმი
ქ. ი. ჟღენტი
კანის და ვენერ. სნეულებანი. სიფილისი ... „914" ... დილ. 8 9 ს. საღ. 7—8 ს.
ქალებს და ბავშვებს 6 7 ს. საღ. კამოს ქუჩა № 19, ტელეფონი 19-59 2—25

ექიმი
ი. მ. პარმა
შინაგანი სნეულებ. ... საღ. 7—8 ...
1621

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქუჩა № 62
მთავლიტის რწმუნებული ა 1239